# სახალხო გაზეთი

№ 1032 პარასკევი, 1 ნოემბერი 1913 წ. № 032

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდ პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ ..... „მ..ომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.-ხის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში— მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოლდანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სრულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახაზინო ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი



სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი ნოემბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 1 მ. 50 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190.

სამშაბათს, 29 ოქტომბერს გარდაიცვალა

**სოლომონ გიორგის ძე გაბაშვილი,**

რასაც დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ცოლი მისი ელისაბედი ექვთიმეს ასული და შვილები: დარია სოლომონის ასული ელევთეროვისა, მარიამ და ანასტასია სოლომონის ასულნი, გიორგი, ივანე და ნიკოლოზ სოლომონის ძენი. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე, (19 თებერვლის ქუჩა, ჩუღურეთი, სახლი № 12). გამოსვენება კვირას, 3 ნოემბერს, დილის 10 საათზე, კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 764

ელენე მაქსიმეს ასული და ნიკო სიმონის ძე ჯანაშიები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ, რომ მეორმოცე დღის წირვა და პანაშვიდი მათის გაზრდილის—პირველის ძმისწულის, სოხუმის რეალურ სასწავლებლის პირველ კლასის მოწაფის

**სანდრო ანტონის ძის მუჯირის**

სულის მოსახსენებლად დანიშნულია სოფელ მაკვანეთში (გურიაში), შაბათს, 2 ნოემბერს. 1566

საზამთრო **ახალი კლუბი** თეატრი

შაბათს, 2 ნოემბერს, 1913 წელს

**საოჯახო საღამო**

თეატრის სცენაზე გამართულ იქნება

**ქართული წარმოდგენა.**

თეატრში შესვლა უფასოა. სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელს: კაცი 1 მ., ქალი 50 კ., სტუდენტები 25 კ. 1568

**გორი**

ადგილობრივ საკრებულო დარბაზში

შაბათს, 2 ნოემბერს,

მგოსან **აკაკი წერეთლის** მონაწილეობით

გაიმართება **სალიტერატურო-სამუსიკო**

**საღამო-მეჯლისი**

სამ განყოფილებად: ს. დადიანი წაიკითხავს ქართულად **ლექციას:** ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობა მე-XIX საუკუნეში.

მგოსანი აკაკი წაიკითხავს ახალ პოემას: „რაჭა-ლეჩხუმი“

მსახიობი ვ. ურუშაძე წაიკითხავს გურულ სცენებს, გ. ქუჩიშვილი და ხ. ფაშალიშვილი—ლექსებს, მომღერალი დ. აკოფაშვილი იმღერებს ქართულ-რუსულ რომანსებს, ქ-ნი თამ. გაბ. ლვინიაშვილი დაუკრავს აკომპანიმენტს როიალზე. მომღერალთა გუნდი შეასრულებს ქართულ სიმღერებს ე. ხუციშვილის ლოტბარობით. ბილეთები იყიდება საქალაქო აფთიაქში ი. კვალიაშვილთან, ა. კალანდაძის წიგნის მაღაზიაში, სამეფო ქუჩაზე ქ-ნ ეფ. ჩუბინიშვილთან, და ხან. გძელიშვილთან. გამგე საღამოსი არის ივ. მელიქიშვილი. ადმინისტრატორი ს. გძელიშვილი. დასაწყ. საღ. 8-ნახ. ს. 1561

პირველ-ხარისხოვანი

**დიდი ცირკი**

**ძმ. ესიკოვსკებისა**



მიხეილის პროსპ., მუშტაიდ. შესავალთან, ნ. კუნდუროვის ადგილზე

დღეს, 1 ნოემბერს, 1913 წ. გაიმართება

**დიდი წარმოდგენა**

ბენეფისი ჭიდაობის ხელმძღვანელისა ვ. ი. კრუჩინინისა

მე-10 დღე გამოჩენილ ფალავანთა ფრანგულ ჭიდაობისა. ეს ჭიდაობა მოწყობილია პეტერბურგის „ვესტნიკ სპორტის“ რედაქციისაგან და მოხდება თვით რედაქტორის ნ. ი. პეტროვის ხელმძღვანელობით. დღეს ჭიდაობენ: კოსტა მაისურაძე და სევინგი, ზანგი ჩემბერს ციპსი და ვანო ბარადანიანი, ლუკა კოპიევი და ტომსაიერი, მსოფლიო ფალავანი პოდდუბნი და ვახტუროვი და სხვა. ივ. კაინი (სახალინიდან) და ხოკოლი. ჭიდაობა დაიწყება 9-ნახევარ საათზე, თავდება 11 საათზე. 763

დირექცია ძმ. ესიკოვსკებისა.

**ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:**

**წიგნები: ისტორიისა, საეკლესიო და საისტორიო მასალები:**

ПРОФ. Н. МАРРЪ:

Житье св. Григорія Хандзтійскаго —3 მ.

Древнегрузинскіе одописцы — —3 მ. —

Вступительныя и заключительныя строфы Витязя въ Барсовой кожѣ 1 მ. 25 კ.

Антіохъ Стратигъ, плѣненіе Іерусалима персами въ 614 г. — — —2 მ.

Критика и мелкія статьи кн. V —75 კ.

Физіологъ. Армяно-грузинскій изводъ — — — —2 მ.

Основныя таблицы къ грамматикѣ древне-грузин. языка — — —5 მ.

Кавказъ памятн. духов. культуры 20 კ.

Исторія грузіи (культ. истор набросокъ) — — — —25 კ.

Изъ поѣздокъ въ Сванію — — —30 კ.

Изъ лингвистическ. поѣздки въ Абхазію — — — —50 კ.

Къ вопросу о задачахъ армяно-вѣд. 5 კ.

Ефремъ Сиринъ. О днях празд. рождества, объ основ. перв церквей въ Іерусалимѣ —75 კ.

Іос. Аримаѳейскій. Сказаніе о построеніи первой церкви въ г. Лиддѣ (груз. текстъ) — — —1 მ.

Ипполитъ, толкованіе пѣсни пѣсней груз. текстъ X вѣка — — —2 მ.

**ახლად მიღებული წიგნები:**

ჩვენი ახალ თაობის უკულმართი ცხოვრების ძირითადი მიზეზები ნ. თავდგირიძისა — — —20 კ.

ბაში-აჩუკი აკაკისა — — — 30 კ.

როგორ უნდა დაარსდეს და სწარმოებდეს წვრილი კრედიტის დაწესებულება ა. კახელიძისა— — —10 კ.

ქართული სიტყვიერების ისტორია (მეცხრამეტე საუკუნე) ალ. ხახანაშვილისა — — — —1 მ.

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1913

**გორის**

ქართველ ქალთა საზოგადოების

**„მანდილოსანის“**

დამაარსებელნი იწვევენ ქართველ ქალებს

**საერთო კრებაზე,**

რომელიც მოხდება 3 ნოემბერს, 1913 წ. დილის 11 ს. საზამთრო საკრებულო დარბაზში (სამეფო ქუჩაზე, ქ. გორში).

კრების საგანია: არჩევა საპატიო თავმჯდომარისა, გამგეობის წევრებისა, მათის თანაშემწეებისა, მის თავმჯდომარისა და სარევიზიო კომისიისა. 1545

**მთიბლომეთ ყვავილი**

ყოველკვირეული

ჟურნალი

წლიურად 3 მან. ფასი 5 კაპ.

**რ. ა. პორტუგალოვისა**

იუწყება, რომ საფაბრიკო მაღაზიაში, რომელიც იმყოფება ნიკოლოზის ხიდთან № 23—24,

**მიღებულია ახალი საქონელი.**

სეზონის შემდეგ დარჩენილი საქონელი ძლიერ იაფ ფასებში იყიდება საფაბრიკო ფასებ ს 50% დაკლებით. დარწმუნებული ვართ, საქართველო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დარჩებიან ამავე შეძლება მოხდება.

მიღებულია **დამზადებული ტანისამოსისა.**

დიდი წყება

მამაკაცთათვის, ქალებისათვის და ბავშვთათვის აგრეთვე მამაკაცების „კოსტიუმები“ და ქალების ქაბები და კოფთები ცალ-ცალკე.

პატივისცემით ქ-ნი პორტუგალოვისა. 1491

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

**საავადმყოფო**

საწოლი ოთახებით

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ნერვებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

ქვლივების ქუჩა, ხაკეუ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლოს.

ტელეფონი № 590.

ცენტრალური განყოფილება მოწყობილია 55 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახებით, განსაკუთრებით ხამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | მანსვეტაშვილი მ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>მალალაშვილი გ. გ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1 ს.<br>ფედოროვი ი. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>ექ.-ქალ. ინგილ-მელიქ-შახნაზაროვისა მ. ა. ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | მარქოვიჩი მ. ლ. კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.<br>ფირალოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი მირზოევა-ფირალოვისა ლ. ყოველ დღე 11—12.<br>თიკანაძე ი. მ. ყოველ დღე 1—2.<br>მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულ. | ექ.-ქალ. ბაქრაძე-დიდებულიძისა ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1.<br>ფედოროვი გ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ვენერიულ. სნეულებ. და ელექტ. | ჯავახიშვილი ნ. ნ. სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>ფონდოვი გ. ს. ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | ათაბეგიანცი ნ. ა. ყოველ დღე 12½—1½.<br>ორბელიანსკი ნ. ს. ყოველ დღე 1½—2. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი მ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი ქიმიურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რეაქციისათვის 50 კ. საწოლი 3 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძუძუ-ძუძუთა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი სამკურნალოთ. წ. 1466

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა **გ. მეჯრაბიანცი**

დაბრუნდა ევროპიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვისა—გულ-მკერდისა და გულისა. შეთანხმებული სპეციფიური ტუბერკულინური წამლობა, ხელოვნური პნევმოტორაქსი, რენტგენის ელექტრო სხივებით ფილტვებისა და გულის გასინჯვა.

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 6—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 საათ. **ღარიბებს უფასოდ.**

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

დოქტორი

**ი. ო. უკლადნიკოვი**

ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობა. მიიღებს კვირა დღის გარდა დილით 9—10 ს. საღამოთი 6—7½ ს. კვირაობით 11—12 საათამდე. ოლღას ქ., № 22, ტელეფონი № 12-25. 751

**ექიმი** ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყოფობას ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, ქიროჩინი ქუჩის ახლოს, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

**შემთხვევით იყიდება სახლი**

ორი ოთახი ავლაბარში მე-7 ნაწილში სურფ მინასის ქუჩაზედ № 27 მიწა ზომით 36 ოთხკუთხი საჟენი.

ფასის გაგება შეიძლება მე-9 ნაწილში ველიკო კნიაჟესკი ქუჩაზედ № 5, ა. რევაზოვთან. 1567

**საბურთალოზე**

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომიჯნავე ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ თოლდის ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე. უმჯობესია წინდაწინ მიწის მყიდველებმა, რომ თავის ... ... ჰქონდეთ ... მიწის ყიდვისთანავე, ... 124

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი № 595.

ღ. ხ. გაზაკაძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ნ. ა. მოსიძე. ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი ოსიპოვა-...—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

მ. მ. კიღურაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რიგებისა—ერის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606“-ით** 1462

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი**

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 737.

**ექიმი** პ. ლ. კიკალიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

**ექიმი** მ. ი. მინასიანცი

იღებს ყოველ დღე, შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ბლექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. იღებს დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

**ექიმი** ი. ზ. გძელიშვილი

სწამლობს შინაგან, თვალისა და ბავშვთა ავადმყოფობას დილით 9—12 საათ., 5—7 სათ საღამოს 19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.) № 17, ტრამვაის გაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლეს. გასწვრივ. 688

**ექიმი** ვ. მ-ძე მანსვეტაშვილი

გადავიდა ახალ სახლში. ოლღას ქუჩა, სახ. მელიქ-აზარიანცისა, № 3. შინაგანი, ძარღვების და ბავშვების ავადმყოფობათა. იღებს 10—12 დილით, 6—7 საღამოთი ტელეფონი № 16—02. 707

**ექიმი** მეიფარიანი

იღებს შინაგანი, ბავშვისა და ვენერიულ ავადმყოფებს. დილის 9—12 ს. და საღამოს 5—7 საათ. ქუთაისი, ტფილისის ქ., საკუთარი სახლი, № 30,

ტელეფონი № 150. 1558

დოქტორი მედიცინისა

**გ. ა. ახვერდოვი,**

პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულსა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 10—11 ს., საღ. 6—8 ს. ხემიონოვის ქ., № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—ხემიონ. ქ. № 16. 1159


# სახელმწიფო სათათბირო

**29 ოქტომბრის სხდომა.**

(გაგრძელება)

**ნეკრასოვი** გზათა მინისტრისადმი მიმართულ შეკითხვას იცავს. იგი ციფრებით ამტკიცებს რკინის გზებზე უბედურ შემთხვევათა სიხშირეს და ეჭვობს, რომ რკინის გზის ექსპლოატაცია წესიერ და უშიშარ მიმოსვლას ეწინააღმდეგება. იმიტომ სათათბირო მიმართულების განუკრძელად შეკითხვას მიიღებს.

**მალინოვსკი:** უბედურ შემთხვევათა მიზეზი გზათა მინისტრის პოლიტიკის შედეგია. იგი მოსამსახურეების მიღების დროს პოლიტიკურის მოსაზრებით ხელმძღვანელობს. რკინის გზის მოსამსახურეთა მუშაობა აუტანელია, ხელფასი კი ფრიად მცირე. კულტუროსანი მუშები ძალაუნებურად სტოვებენ სამსახურს. მთავრობა სდევნის მუშათა კავშირებს. დროა უკუვაგდოთ ეს ყიზილბაშური ღელი.

**თავმჯდომარე** მოლაპარაკეს შენიშვნას აძლევს.

**დობროვოლსკი** გზათა მინისტრს ღირსეულად უთვლის მატარებელთა ჩქარი მიმოსვლის შემოღებას, თუმცა აღნიშნავს, რომ ჩქარი მიმოსვლა გზათა მდგომარეობას არ შეესაბამება. უბედურ შემთხვევათა სიხშირის მიზეზი მატარებელთა შემადგენლობის აჭრელებაა, სანიშნეების მოუწყობლობა და მრავალი სხვა ნაკლიო.

**ნიკოლაევი** ლაპარაკობს კავკავის გზაზე მომხდარ უბედურების თაობაზე და დასძენს: ამის მიზეზი გზების მოუვლელობაა, მცხოვრებლების ზედ-მეტი დატვირთვა და მოსამსახურეთა მოქანცულობაო.

სათათბირო გადადის მორიგ შეკითხვის განხილვაზე. შეკითხვა ეხება მოსკოვში ნოქართა მეოთხე კრების უკანონო დახურვას.

**კერენსკი** შეკითხვის სისწრაფეს მხარს უჭერს. მესამე სათათბიროს დროს ნოქრებს კრების გამართვის ნება ჰქონდათ, მაგრამ შემდეგ გარემოება შეიცვალა და მთავრობამ გადასწყვიტა—რადაც უნდა დასჯდომოდა კრება აეკრძალა. პოლიციის წარმომადგენელი კრებაზე იმ განზრახვით მივიდა, რომ უწესოება გამოეწვია და კრება მიეხურა. ამის და მიუხედავად სხდომაზე წესიერება არ ირღვეოდა. პოლიციის წარმომადგენელი ყოველის ღონით ცდილობდა კრების დახურვისათვის საბაბი ეპოვნა, მაგრამ რადგანაც მიზეზი ვერ ჰპოვა, კრება სრულიად უმიზეზოდ აკრძალა. პოლიციის ამგვარმა მოქმედებამ დაუსჯელად არ უნდა ჩაიაროს. მოლაპარაკე მოუწოდებს ცენტრს, დაიცვას თვის მიერ შექმნილი კანონები.

**ლიუცი** ოქტომბრისტების სახელით შეკითხვის სწრაფი განხილვის წინააღმდეგია.

ხმის უმეტესობით შეკითხვის სწრაფი განხილვა უარჰყვეს. შეკითხვა კომისიას გადაეცა; უკანასკნელს დაევალა ერთი თვის განმავლობაში შეკითხვის თაობაზე მოხსენება წარმოადგინოს.

სათათბირო შეუდგა მორიგი სხდომისთვის განსახილველ საგანთა სიის შედგენას.

**თავმჯდომარე.** შემოტანილია წინადადება, ამორჩეულ იყოს ცალკე კომისია, რომელსაც დაევალება მოქალაქეთა სწორუფლებიანობის საკითხის განხილვა. აზრად აქვთ ახლო ხანში ამოირჩიონ კომისია.

**შინგარევი.** წინადადებას მხარს უჭერს. მოქალაქეთა უთანასწორობა სახელმწიფოებრივ სხეულს დიდ ზიანს აყენებს. ცხოვრების ვერც ერთ მხარეს ვერ მოჰნახავთ, რომ ამ სნეულების შხამით არ იყოს მოწამლული. განათლებისა, ეკონომიურის და ადმინისტრატიულის მხრივ რუსეთი ჩამორჩენილ და უფლება-აყრილ სახელმწიფოს წარმოადგენს. ეროვნებათა ჩაგვრა და დევნა რყვნის ადგილობრივ ადმინისტრაციას. პოლიტიკური ცხოვრება რუსეთისა

დამახინჯებულია, რადგანაც 17 ოქტომბრის მანიფესტის განხორციელება ყოვლად შეუძლებელია, თუ ყოველი მოქალაქე კანონის წინაშე თანასწორი არ იქნება. ეროვნებათა უუფლებობამ თავი იჩინა სარწმუნოებრივ დარგში. პოლიტიკურის მოსაზრებით ჰსცდილობდნენ ჩვენს თვალს წინ გაებათილებინათ სამღთო წერილიც კი. რუსეთის მართლმსაჯულება განსაცდელშია. შეუძლებელია ასეთი საკითხის გადადება, რომელიც სახელმწიფოს ცხოვრების ყოველ მხარეს ეხება. აუცილებლივ საჭიროა მოისპოს სხვა ეროვნებათა დევნა და შევიწროვება; ამას მოითხოვს ღირსება ყოველი სახელმწიფოს და ღირსება რუსეთის ერისა. დეე, კანონმდებელთა გონიერებამ ჩამოჰრეცხოს რუსეთს მოქალაქეთა უთანასწორობის ჩირქი.

**ფრიდმანი** ბეილისის საქმეზე იწყებს ლაპარაკს.

**თავმჯდომარე** აჩერებს მოლაპარაკეს: ეს საქმე ჯერ არ დასრულებულა.

**ფრიდმანი** მაინც განაგრძობს ლაპარაკს.

**თავმჯდომარე** კვლავ შენიშვნას აძლევს.

**ფრიდმანი** ჯიბიდან იღებს ბეილისის საქმის განცხადებას და კითხულობს.

**თავმჯდომარე** სიტყვას ართმევს.

**როდიჩევი.** რუსეთში არსებობს არა მარტო ეროვნებათა უთანასწორობა, არამედ კლასთა და წოდებათა უუფლებობაც. თუ ამას არ მოვსპობთ, რუსეთში უფლებრივ წესწყობილების დამყარება შეუძლებელი იქნება. ჩვენ კვლავ იმ გზით მივდივართ, რომელმაც ცუსიმთან მიგვიყვანა. დროა შევჩერდეთ, მოვიფიქროთ.

**პურიშკევიჩი.** ებრაელებს რომ თანასწორი უფლება მივანიჭოთ, სახელმწიფოს დიდ ვნებას მივაყენებთ. გლეხთა მიწათმოქმედება სრულიად მოისპობა და სასამართლო შეირყვნება. საზღვარ გარედაც კი უმაღლეს სასწავლებელთა კარები ებრაელთათვის იკეტება; ებრაელები გამხრწნელ ელემენტს წარმოადგენენ. სხვა ერთა თანასწორობა ებრაელებისას არ უნდა დაუკავშიროთ. პოლონელები ებრაელთა წინააღმდეგ ეკონომიურ ბრძოლას აწარმოებენ. მოლაპარაკე დარწმუნებულია, რომ სათათბირო კადეტების წინადადებას უარჰყოფს.

ილაპარაკა **მარკოვმა მეორემ.** შემდეგ ლაპარაკობს **ანტონოვი:** ოქტომბრისტები ამ გვარად კომისიის დაარსების წინააღმდეგნი არიან; კადეტების წინადადებით უნდა დაარსდეს კომისია არა რაიმე განსაზღვრულ საკითხის, არამედ კანონთა მთელ რიგის განსახილველად. რათა თვის წინადადებას სახელი მოუხვეჭონ, ისინი უპირველესად გლეხებზე ლაპარაკობენ. სათათბიროს კომისიაში უკვე არსებობს გლეხთა უფლების გამაფართოებელი პროექტი დარჩა ეროვნებათა თანასწორობის პროექტი. ოქტომბრისტები ამ საკითხის აღძვრას უდროოდ სთვლიან. შეუძლებელია დაარსდეს კომისია რაღაც გამოურკვეველ იდეათა შესამუშავებლად.

**შინგარევი მარკოვსა და ანტონოვს** უპასუხებს.

კენჭის ყრით კადეტთა წინადადება 152 ხმით წინააღმდეგ 92-სა უარჰყვეს. (მარჯვნით ტაში).

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემა.** როგორც შევიტყვეთ, პირველი წყება წიგნისა უკვე დაურიგებიათ და ახალ წყებას დაარიგებენ მომავალ ორშაბათიდან საღამოს 5-7 საათ. მიხეილ გედევანიშვილის ბინაზე (ყორღანოვის ქ. № 20). პროვინციაში წიგნის გაგზავნა შესაძლო იქნება არა უახლოეს 15 ნოემბრისა. ვისაც ჰსურს წიგნი ფოსტის ხარჯის ფასდადებით მიიღოს, უნდა მოიწეროს გამომცემლობის სახელზე წერილი, თან გამოაყოლოს წიგნის დასაკვეთი კვიტანცია და პასუხი შემდეგ კითხვებზე: 1) გვარი, 2) წლოვანება, 3) წოდება, 4) განათლება, 5) სად დაიბადა (მხარე: იმერეთი, ქართლი, კახეთი, ჯავახეთი; თუ ქალაქში—რომელში), 6) სად სცხოვრობს და 7) მისამართი, რომლითაც წიგნი უნდა გაიგზავნოს.

✦ **ჟურნალისტი ლევან ყიფიანი** ამ ჟამად ისევ საავადმყოფოშია. ხველამ უკლო, ჭრილობა უმთელდება და ფეხზე დგება. საავადმყოფოში წოლა კიდევ ორ-სამ კვირას დასჭირდება.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** 5 ნოემბრიდან ვერაზეჰმოაწყობს საღამოს კურსებს ქართულს ენაზე. მსურველთ შეუძლიათ ჩაწერა ყოველ დღე საღამოს 7—9 საათამდე კურსების ბინაზე: ოლღას ქუჩა, სახლი № 54.

✦ **წვრილი კრედიტი.** გორის მაზრის სოფელ ტეზერის მცხოვრებთ დაუდგენიათ, დაარსონ თავიანთ სოფელში წვრილი კრედიტის ამხანაგობა. გუშინ ტეზრის მცხოვრებთა რწმუნებულნი ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში იყვნენ და შესაფერი რჩევა-დარიგება სთხოვეს.

✦ **ვაზის მყნობის კურსები.** მევენახეობისა და მეღვინეობის ტფ. საგუბერნიო კომიტეტმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ კახეთს ფილოქსერა მოედო და ვენახებს საბოლოოდ განადგურებას უქადის. კომიტეტმა პირველ საგნად, სხვათა შორის, საჭიროდ აღიარა მცხოვრებთა მომზადება ფილოქსერასთან საბრძოლველად და ახალი ვენახების გასაშენებელ ღონისძიებათა გავრცელება. ამ საკითხის გამო კომიტეტს მსჯელობა ჰქონდა 30 ოქტომბერს და დაადგინა: მოაწყოს თვის ინსტრუქტორებისა, ან მოწვეულ პირთა შემწეობით კახეთს 29 ადგილას ამერიკულ ვაზზე ადგილობრივ ვაზების დამყნობის კურსები. კურსების მოსაწყობად კომიტეტმა 1,000 მან. გადასდო. კრებაზე დამსწრე მემამულემ თ-დმა დ. ე. ჩოლოყაშვილმა კომიტეტს აღუთქვა, ხელი შეუწყოს კურსების მოწყობას ჭიაურში, სადაც კომიტეტს შეეძლება ისარგებლოს მისი მოშენებითა, მამულითა და მოურავით, რომელიც მევენახეობაში გამოცდილია. ამას გარდა ქართულ სამეურნეო საზოგადოების საბჭო დაჰპირდა, მოაწყოს თვის მოსამსახურეთა შემწეობით კურსები მუკუზანში (სიღნაღის მაზრა) და იყალთოში (თელავის მაზრა). კომიტეტმა ეს განცხადებანი მხედველობაში მიიღო და დაადგინა: ახლავ შეუდგეს თადარიგს კურსების მოსაწყობად.

✦ 29 ოქტომბერს ჩრდილო კავკასიიდან ტფილისში დაბრუნდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი **ნ. ფ. რუდოლფი.**

✦ „თემის“ რედაქციას განუზრახავს ცალკე წიგნად გამოსცეს მგოსან **კ. მაყაშვილის** ლექსთა კრებული. კრებულში მოთავსებული იქნება ყველა ლექსები, რაც კ. მაყაშვილს ამ ათის წლის განმავლობაში დაუწერია.

✦ 29 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, კახეთის ქუჩაზე (სახლი № 10) **უეცრად გარდაიცვალა** ხაშმელი გლეხი, ხელობით დურგალი, ი. ა. იმედაშვილი, 59 წლისა.

✦ **ქალაქის გამგეობისა და მასწავლებელთა დავა.** მკითხველებმა უკვე იციან, რომ მასწავლებელნი ხელს არ აწერენ (მეორედ) იმ ფურცლებზე, რომელიც საკანტროლიო პალატას უნდა წარედგინოს 39,000 მან. მისაღებად. ახლა, მასწავლებელთა წინადადებით, ქალაქის გამგეობამ დაადგინა, მასწავლებელთ ჩამოართვას (მეორედ) 360 მან. მიღების ბარათი (თვეში 30 მან.) და ზედ მიაწეროს, რომ იმ 600 მანეთში, რომელსაც ქალაქი მასწავლებლებს აძლევს, შედის ხაზინიდან მიღებული 360 მან. ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა ქალაქის გამგეობამ თვის წევრს გ. ნ. ათაბეგოვს დაავალა.

✦ **„აშურიანის“ მამულში,** რომელიც ქსანსა და გრაკალს შუა მდებარეობს, როგორც გავიგეთ, მისი ახლანდელი მესაკუთრე მილიონერი ი. ა. მანთაშევი დუღაბის (ცემენტის) უზარმაზარ ქარხნის აშენებას აპირობს. დუღაბისთვის საჭირო მასალა, რომელიც ამავ მამულში მოიპოვება, საზღვარ-გარედ შეუმოწმებიათ და საუკეთესო ღირსებისა აღმოჩენილა. ქარხნის აშენება მანთაშევს საზღვარ-გარეთულ ფირმისთვის მიუნდვია. ქარხანა მოქმედებას დაიწყებს მომავალ წლის აგვისტოდან და, როგორც უკვე გამოუანგარიშებიათ, წელიწადში 800,000 ბოჭკა დუღაბს დაამზადებს.

✦ **ზუბალაშვილის სახელობის საბავშვო საავადმყოფო** გახსნა 3 ნოემბრიდან 17 ნოემბრისთვის გადიდო. გაიხსნება ნაშუადღევის 2 საათზე. ამავე დღეს, დილის 11 საათზე ქალაქების წარმომადგენელთა კრება გაიხსნება. წარმომადგენელნი საავადმყოფოს გახსნას დაესწრებიან.

✦ **ქუჩების მოკირწყვლა.** თანახმად ქალაქის საბჭოს მიერ გამოთქმულ სურვილისა, ქალაქის გამგეობამ დაადგინა: შეადგინოს საგანგებო ბიურო და დაავალოს ქალაქის ყველა ქუჩის აღნუსხვა და მათის მოკირწყვლის პროექტის შედგენა.

✦ **ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვის** განხილვის დროს ქალაქის საბიუჯეტო-საფინანსო და სარევიზიო კომისიამ საჭიროდ სცნო, ახალ სამშობიარო თავშესაფარის უფროს ორდინატორს ჯამაგირად დაენიშნოს 2,500 მ. ამას გარდა კრებამ დაადგინა: სთხოვოს ქალაქის საბჭოს, დაავალოს სამკურნალო დაწესებულებათა გამგეებს, რათა იცხოვრონ იმ რაიონებში, სადაც ეს დაწესებულებანია.

✦ **ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი,** რომელიც ამას წინად ქარებით გახდა ავად, ამ ჟამად უფრო ცუდად გრძნობს თავს. ქარები ფეხებიდან გულში და თავში აუვარდა. ავადმყოფობა, ექიმების სიტყვით, ხანგრძლივ წამლობას ითხოვს.

✦ **მევენახეობა.** ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების თხოვნის თანახმად მევენახეობისა და მეღვინეობის საგუბერნიო კომიტეტმა დაადგინა: კახეთს გაჰგზავნოს თავის უფროსი სპეციალისტი ვისნიოვსკი, სამეურნეო საზოგადოების იმ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად, რომელსაც დავალებული აქვს მუკუზანისა და იყალთოს მამულების დათვალიერება.

✦ **ახალ კლუბის** მამასახლისთა საბჭოს მ. წულუკიძემ სთხოვა, ნება დართოს მას წაიკითხოს კლუბში ერთ-ერთს საოჯახო საღამოზე ლექცია კამათით შემდეგ თემაზე: „საქართველოს ლიტერატურა მე-19 საუკუნისა“.

✦ **წესიერი დასვენების** სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის 30 ოქტომბერს სავაჭრო სამეურნეო მეთვალყურემ ე. ლომიძემ ქალაქის მესამე უბანში 11 ვაჭარს შეუდგია ოქმი.

✦ **ლაქიების შუამდგომლობა.** „ანონა“-ს ლაქიამ ს. ნ. წილოსანმა ქალაქის გამგეობას თხოვნა მისცა, რომელშიაც აღწერს ლაქიად სამსახურის ცუდ პირობებს და სთხოვს: 1) წარუდგინოს ქალაქის საბჭოს თვისი მოსაზრებანი ლაქიებისა და რესტორანების პატრონთა შორის ურთიერთობის მოსაგვარებლად, 2) შეიმუშაოს ლაქიათა დასვენების ნორმა, 3) განსაზღვროს ლაქიათა ჯამაგირი და შრომის ჯილდო, 4) გააუქმოს ლაქიათა ღირსების დამამცირებელი საჩუქარი, 5) მოისპოს უკანონო ჯარიმები და 6) გამოსცეს შესაფერი სავალდებულო დადგენილებანი. ყველა ამის განსახორციელებლად ს. წილოსანი საჭიროდ სთვლის, აირჩეს ხმოსანთაგან კომისია, რომელიც ადგილობრივ გამოარკვევს ლაქიათა მდგომარეობას; შემდეგ მოწვეულ უნდა იქმნეს ლაქიებისა და რესტორანების პატრონთა წარმომადგენლების კრება. ამავე დროს ბ-ნმა წილოსანმა გუბერნატორსაც სთხოვა წერილობით, ხელი შეუწყოს ლაქიათა მდგომარეობის გაუმჯობესებას.

✦ გუშინწინდელ „სახ. გაზ.“ ნომერში, სადაც აღნიშნული გვქონდა ცნობა სოფ. ქვიანის **სამეურნეო სკოლის** შემწეობის შესახებ, გამოგვრჩა რაოდენობის აღნიშვნა ერთდროულ დახმარებისა. ახლა როგორც გადმოგვცეს, მეფის მოადგილის საბჭოს წევრს ბ-ნ ჯუნკოვსკის აღუთქვამს ამ სკოლისთვის 1200 მან. წლიურად და 2000 მანეთამდის ერთდროული დახმარება.

✦ **ფეხსაცმელების გამწმენდავებმა** მეფის მოადგილეს თხოვნა მიართვეს, რომელშიაც შუამდგომლობენ, აიძულოს ქალაქის გამგეობა, რომ იმ ადგილებში, რომელიც მათ უჭირავთ, ნაკლები ქირა გამოართვას. ქირას ქალაქის გამგეობამ ამას წინად მოუმატა.

✦ **დააჯარიმონ თუ არა ტრამვაის დირექცია გაფიცვის დღეებისთვის,**—ამ საკითხის გადასაწყვეტად 2 ნოემბრისთვის დანიშნულია ქალაქის საბჭოს სატრამვაიო კომისიის კრება.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **მევენახეობისა და მეღვინეობის საგუბერნიო კომიტეტის** კრება 30 ოქტომბერს მოხდა მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს უფროსის კორვინ-პავლოვსკის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრო კავკასიის საუფლისწულო მამულების ინსპექტორად ახლად დანიშნული ბ-ნი პურგოლდი. კრებამ განიხილა და დაამტკიცა კომიტეტის 1914 წლის ხარჯების პროექტი, რომელიც ნავარაუდებია 25,215 მ. კომიტეტს 10,000 მ. უკვე აქვს დარჩენილი წინა წლის გადადებულ ფულიდან დანარჩენ 15,000 მან. გამო კომიტეტმა დაადგინა, ითხოვოს 20,000 მანეთიდან, რომელიც გადარჩა მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტებისთვის წინა წელს გადადებულ თანხას, ხოლო დანარჩენი 5,000 მან. განაწილოს სხვა კომიტეტებმა. ამ თანხიდან ასეთის დიდის ნაწილის გადადება ტფ. კომიტეტის სასარგებლოდ კრებამ იმით დაასაბუთა, რომ სხვა კომიტეტებს არა აქვთ იქეთი დიდი საზრუნავი საგნები, როგორც ტფილისისას: ტფ. კომიტეტი დიდს ფულს ხარჯავს ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც სხვა კომიტეტებს არა სჭირდებათ. ამას გარდა ტფ. კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს, მომავალ წელს მწარე და საჰყნობ ვაზების სანერგები ჩაჰყაროს ოთხს მაზრაში: სიღნაღისა, ბორჩალოსი, ტფილისისა და გორისაში. ამის შემდეგ კომიტეტმა დაამტკიცა 1915—1917 წლების ხარჯების პროექტი, რომლითაც კომიტეტი წელიწადში 35,000 მან. თხოულობს ხაზინიდან და საერობო თანხიდან. დასასრულ კომიტეტმა მოისმინა მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის წინადადება, რომლის თანახმადაც შეადგინა სია როგორც ფილოქსერით დაავადებულ ადგილებისა (კახეთში), ისე მასალისა, რომლის შეტანა შეიძლება იქ, ან რომლის გამოტანა არის დართული იქიდან.

✦ **კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრებაზე,** სხვათა შორის, განხილულ იქნება საკითხი მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ამის გამო კრების მომწვევმა კომიტეტმა მოსკოვის სამალიარო კომიტეტის თავმჯდომარეს ექიმს მარტინოვსკის სთხოვა, კრებაზე ერთ-ერთი წარმომადგენელი გამოგზავნოს კომიტეტიდან, ან არა მოხსენება მოაწოდოს.

## სასწავლებლებში

✦ **ქალთა უმაღლეს კურსებზე** დღემდი სავალდებულო საგნად არ არის მიჩნეული საქართველოს ისტორია ლექციებს უფასოდ კითხულობს ს. კაკაბაძე, რომელსაც, რასაკვირველია, არ შეუძლიან, მუდამ გასწიოს ასეთი ქველმოქმედება. ეს გარემოება ბევრში დიდს განცვიფრებას იწვევს, რადგანაც ტფილისში, როგორც საქართველოს დედა ქალაქში, საჭირო იყო საქართველოს ისტორია ერთს მნიშვნელოვან და პირველ-ხარისხოვან საგნად ჩაეთვალათ. აგრეთვე საჭიროა სავალდებულო საგნად სომხური ისტორიაც გახდეს. დრო არის, კურსების საპედაგოგიო საბჭომ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს და შესაფერი შუამდგომლობა მთავრობის წინაშე ახლავე აღძრას,

# ბიბლიოგრაფია

**პ. ინგოროყვა. ძველ-ქართული სასულიერო პოეზია.** წიგნი I. ტექსტები VIII—X საუკუნეები. ტფილისი 1913. XXXIV+413. საეკლესიო მუზეუმის გამოცემა. ფასი 2 მანეთი.

ჩვენის წარსულისა და, კერძოდ, ჩვენი ძველი მწერლობის შესწავლის საქმე თანდათან მტკიცე ნიადაგზე მყარდება, სასურველ კალაპოტში დგება. ჩვენ ვეღარ გვაკმაყოფილებს ძველი სამწერლო ნაშთების უბრალო აღწერა ან მათი შინაარსის გადმოცემა; ვეღარ გვაკმაყოფილებს ვერც მათი უკრიტიკო გადმობეჭდვა ერთის ან ორი ხელნაწერიდან. ჩვენ გვსურს (და შეძლების დაგვარად კიდეც ვახერხებთ) ეს ნაშთები იმ სახით გვქონდეს გამოცემული, როგორც ამას თანამედროვე სამეცნიერო კრიტიკა მოითხოვს, სახელდობრ: უძველესი ხელნაწერების შედარებით და ვრცელის ტექსტუალურის კრიტიკით.

ამასთანავე ყურადღებას იქცევს ერთი ფრიად საგულისხმო მოვლენაც. ჩვენი ძველი მხატვრული მწერლობის შესწავლის დროს ჩვენ აღარ ვჯერდებით მარტო, ეგრეთ წოდებულის, „ოქროს საუკუნის“ ე. ი. დავით აღმაშენებლისა და თამარ-მეფის ეპოქის, სამწერლო ნაშთებს, აღარ ვფიქრობთ, როგორც უკანასკნელ დრომდე ფიქრობდნენ, ვითომც ქართულის მწერლობითი პოეზიის „ალფა“ და „ომეგა“ მე-XII საუკუნე იყოს,—არამედ, უტყუარ ფაქტებზე დამყარებულნი, ბევრად უფრო შორს მივდივართ და თამამად ვღიარებთ, რომ ჩვენის სამწერლო პოეზიის აკვანი პირველად გადარწეულა არა მე-XII საუკუნეში, არამედ გაცილებით უფრო ადრე, სახელდობრ არა უგვიანეს მე-VIII—IX საუკუნისა ქრ. შემდეგ.

ყოველისავე ზემოთქმულის დამტკიცებას მკითხველი ჰპოებს ბ-ნის პ. ინგოროყვას გამოცემაში, რომლის სათაურიც ზემოთ ამოვწერეთ.

ეს წიგნი, როგორც ავტორი წინასიტყვაობაში გვაცნებს, მხოლოდ პირველი ტომია მის მიერ განზრახულის მთელი სერიისა იმავე სათაურით. აქ მოთავსებულია მხოლოდ მე-VIII—X საუკუნეების ნაშთები, მეორე ტომი დაეთმობა მე-XI—XIII საუკუნის ნაშთებს, ხოლო მესამე ტომში დაიბეჭდება ავტორის ვრცელი გამოკვლევა წინა ტომებში მოთავსებულის ტექსტებისა. მეორე ტომის ბეჭდვას უკვე შესდგომია „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“, ხოლო მესამე ტომის მასალა ავტორს უკვე მზად ჰქონია დასაბეჭდად.

მაგრამ ჩვენ წინამდებარე ტომს დავუბრუნდეთ.

ამ ტომში დაბეჭდილია მე-VIII—X საუკუნის თორმეტამდე ქართველი მწერლის ნაწარმოები, რომელთა ვინაობა, ორიოდეს გარდა, დღემდე სრულიად უცნობი იყო, რაღა თქმა უნდა, უცნობნი იყვნენ მათი თხზულებანიც. ამათი აღმოჩენა და გამოაქვეყნება მთლად ჩვენს ახალგაზრდა მკვლევარს ეკუთვნის.

ჩვენ არ გამოვუდგებით ამ მწერალთა სახელების ამოწერას. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ თვითეული მათგანის ნაწარმოები, ღრმა სარწმუნოებრივს გრძნობასთან ერთად, ძლიერის პოეტურის ნიჭისა და აღფრთოვანების ნამდვილ ბეჭედს ატარებს. გვხვდება ისეთი „ქებანი“ და საგალობლებიც, რომელნიც ქართულის შესხმითი პოეზიის „შედევრად“ უნდა ჩაითვალონ, როგორც შინაარსით, ისე სტილითა და, კერძოთ, ქართული ენის უნაკლულო სისუფთავით. ასეთია, მაგალითად: **იოვანე საბანის ძის** „ქებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი“ (VIII—IX საუკუნისა), რომელიც სრულიად დამთავრებულს გაულექსავ ოდას წარმოადგენს წმ. აბო ტფილელისადმი (იხ. გვ. ა—ვ), **იოვანე მტბევარის** (X საუკ.), საგალობელნი ქრისტეს შობისანი (გვერ. ოვ—ქ), **მიქაელ მოდრეკილის** (X საუკ.) საგალობელნი ნათლისღებისანი (გვ. ტპგ—ჳია), **ივანე მინჩხის** (X საუკ.) „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანი“ (გვ. ია—იც) და მრავალნი სხვანი.

სანიმუშოდ გავარჩევთ **აბო ტფილელის „ქებას“,** რომელიც იოვანე საბანის ძის, მე-VIII—IX საუკუნის მწერლის, კალამს ეკუთვნის.

აბო ტფილელი, გაქრისტიანებული არაბი, როგორც ვიცით, 786 წელს აწამეს არაბებმა ტფილისში (მისი ნიში დღეს ამართულია ავლაბრის მეორე ხიდის ყურში, მეტეხის ციხის კლდის ძირში). მისი ცხოვრება და წამება აღწერა მისმავე თანამედროვე მღვდელმა იოვანე საბანის ძემ, რომელიც, როგორც სჩანს, პირადად იცნობდა წმიდა მოწამეს. ეს აღწერილობა სამი თავისაგან შესდგება, ხოლო მეოთხე თავად დართული აქვს შესხმა ანუ „ქებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი“, რომელიც ბ-ნს ინგოროყვას, სრულიად სამართლიანად, თავისი კრებულის თავში მოუთავსებია, როგორც უძველესი ნაშთი ქართულის შესხმითი პოეზიისა, რომელსაც ჩვენ დრომდე მოუღწევია. ეს შესანიშნავი ნაშთი დაცულია საეკლესიო მუზეუმის ორს ტყავის ხელნაწერში (№№ 9 და 95), რომელთაგან პირველი ეკუთვნის იმავე VIII—IX საუკუნეს, ხოლო მეორე გადაწერილია, როგორც ბ-ნი თ. ჟორდანია ჰფიქრობს, არა უგვიანეს X საუკუნისა (იხ. მისი „Описаніе рукописей...“, кн., I стр. 12 и 96). და აი, ამ ორ ხელნაწერზე დაუმყარებია ჩვენს ახალგაზრდა მკვლევარს აღნიშნული „ქების“ კრიტიკული გამოცემა.

შინაარსის მიხედვით იოვანე საბანის ძის ოდა სამ ნაწილად შეიძლება გაყოფილ იქნეს: შესავლად, შესხმად და ეპილოგად.

1. **შესავალში** (სტრიქონები 1—26) ავტორი მოუწოდებს ქრისტიანე ქართველებს და წინადადებას აძლევს, მონაწილეობა მიიღონ აბო ტფილელის ხსენების დღესასწაულობაში და შემკობაში. შემდეგ თვით მოწამეს მიმართავს და ეტყვის გამოსთქვამს: „ვაჲ თუ ვერ შევსძლო ღირსეულად შენი შემკობაჲ“; მაგრამ მთლად დადუმებაც ვერ გაუბედნია, რადგან შიშობს: „ვაჲ თუ ჩემის დადუმებით დაეყენოს ჩემთვისცა მოღვაწეობაჲ მეოხებისა შენისა ქრისტეის—მიმართ“; და ამიტომ კადნიერდება და „მსგავსად ძალისა თვისისა“ (ე. ი. შეძლებისდაგვარად) იწყებს წმიდა მოწამის ქება-შემკობას.

2. მაგრამ ამ მეორე ნაწილის (სტრიქ. 27—125) გადმოცემას ჩვენ ვერ ვიტვირთებთ, რადგან ეს მისი დამახინჯება იქნებოდა: საჭიროა იგი თვით მკითხველმა წაიკითხოს და გაიცნოს. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს ნაწილი სავსეა აუარებელის ნამდვილ პოეტურის ეპიტეტით, შედარებით, ტროპითა და ფიგურით, ე. ი. ყოველისავე იმით, რაც პოეტური სტილის აუცილებელს კუთვნილებას წარმოადგენს. აი ორიოდე პირველშეხვედრილი მაგალითი *):

„შენ ნათესავთა შენთა (ე. ი. არაბებმა) უცხო და განგდებულ გყვეს, —ეუბნება ავტორი წმიდა მოწამეს, — ხოლო ქრისტემან ისმაიტელთა შორის, ვითარცა ვარდი ეკალთაგან, გამოგარჩია და მიგიპყრა თვისსა მას ეკლესიასა.—შენ, ველური ეგე ზეთის ხილი, მოგიღო ქრისტემან და მტილისა მას შინა, თვისსა სამკვიდრებელსა, ნაყოფად კურთხევისად დაგნერგა და ნაყოფითა მით სარწმუნოებისა შენისაითა ახარა ეკლესიასა, რომელსა შინა იშუებენ ქრისტეის მორწმუნენი და ჰნატრიან შენსა მას დიდებულებასა, შენსა მას ძლიუაწებასა, შენსა მას სიმხნესა, შენსა მას მარტვილობასა, შენსა მას გვირგვინოსნებასა!“ (სტრიქონები 117—125).

3. მეორე ნაწილს მოსდევს მესამე და უკანასკნელი ნაწილი ანუ **ეპილოგი** (სტრიქონები 126—137), რომელშიაც ავტორი ერთხელ კიდევ აღიარებს, რომ მას არ ძალუძს წმიდა მოწამის ღირსეული შემკობა, და ქებას აბოლოებს ვედრებით თვით წმიდისავე მოწამისადმი.

მაგრამ აი თვით ეს ნაწილი (ჩვენი დროის პუნქტუაციითა და ტრანსკრიპციით):

„ვითარმე გაქებდე შენ, ღუაწლისა მძლეო წმიდაო მოწამეო! რამეთუ შენ, ახალი ეგე ქრისტეის მორწმუნეი, მოძღუარ ჩუენდა იქმენ: სწავლულნი უფროის გულისხმაყოფაჲ ჰყვენ, შერყეულნი უფროის განამტკიცენ, განმტკიცებულნი განამხიარულენ, წარმართნი წადიერ ჰყვენ ქრისტეის მონებად! სახსენებელი მარტვილობისა შენისაი ჩუენ დაგვიტევე, სახელისა შენისა მოთხრობად ყოველთა ქადაგ ვიქმენით!—აწ ვევედრებით შენსა ქრისტეის მოყუარებასა: მეოხმცა ხარ წინაშე მაცხოვრისა ყოველთათვის, რომელნი შენ მიერ ითხოვენ წყალობასა ქრისტეის ღმრთისაგან, რომლისაი არს დიდებაი და პატივი და ძლიერებაი, თანა მამით და ყოვლადწმიდით სულითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამენ!“

ასეთია ეს უძველესი ქართული ოდა-ქება ანუ შესხმითი საკითხავი, რომელსაც ჩვენ დრომდე მოუღწევია. ჩვენის ფიქრით, იგი ბევრად მაღლა სდგას შავთელის „აბდულმესიან“-ზე, თუმცა ეს უკანასკნელი მდიდარრითმიანის ლექსითაა შეწყობილი, პირველი კი გაულექსავია.

მაგრამ რა ეს? მთელი კრებული სავსეა ძვირფასის მარგალიტებით. აი მაგალითი **იოვანე მტბევარის** ქრისტეს შობის საგალობლიდან:

„იხარებდით ცანი და იშვებდით ქუეყანაი და ზღუაი მკვიდრთა თვისითა თანა დღეს ღირსად! ბეთლემ, განმზადე! და შეიმკე, ქუაბო! და შენ აწ, ბაგაო, შეიწყნარე ნათელი ზეცით, რამეთუ ჩრდილი განქარდა, ღმერთი რაი კაც იქმნა ჩუენთვის!“ და სხვანი (გვ. ოვ.)

ან კიდევ (იქიდანვე):

„ისმინე შენ აწ, ცაო! და ყურად იღე, ქუეყანაო! შიშით ძრწოდეთ საფუძველნი ქუესკნელისანი, რამეთუ ღმერთი უხილავი განხორციელდა“! და სხვანი (გვ. ოც).

აი იგივე მოტივი უფრო სრულად და დამთავრებულად **მიქაელ მოდრეკილის** ნათლისღების საგალობელთაგან:

„იხარებენ ცანი ყოვლით ძალითურთ, განისცრების ქუეყანაი თანა მკვიდრითურთ, მხიარულ არიან მთანი და იმღერიან ბორცუნი, ზესკნელს უხორცონი განკვირდეს, რამეთუ შემოქმედსა თვისსა ჰხედვენ განშიშულებულსა მდგომარედ წყალსა შინა, ვითარცა კაცსა, და ხმობენ: დიდებაი სიმდაბლესა შენსა, მდაპალთა აღმამაღლებელსა, მხსნელო, მრავალმოწყალებითო!“ და სხვანი (გვ. სკვ. სტრიქონები 26—31)*)

ჩვენ აღარ განვაგრძობთ კრებულიდან ტექსტების ამოწერას, რადგან ეს ძლიერ შორს წაგვიყვანდა.

*) ვბეჭდავთ ჩვენი დროის პუნქტუაციით და ტრანსკრიპციით.

ს. ი.—ქ.

*) როგორც აქ, ისე ზემოთ ყველგან ვხმარობთ ჩვენი დროის პუნქტუაციისა და ტრანსკრიპციას, რომელიც სისწორით არ გამოხატავს ძველს ორთოგრაფიას, მაგრამ გაზეთის მკითხველისათვის უფრო ხელმისაწვდომია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

✦ ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების **კავკავის სკოლაში** ამ ჟამად თავისუფალია სკოლის გამგის თანამდებობა.

## სასამართლო.

✦ **თ-დ ფალავანდიშვილებისა და ბეგთაბეგოვის საქმეს,** რომელთაც როსტომოვის დუქანზე შეიარაღებული თავდასხმა ბრალდებათ, დღეს გაარჩევს ტფ. ოლქის სასამართლოს პირველი განყოფილება. ბრალდებულნი წელიწადზე მეტია ციხეში სხედან. მათი საქმე გასარჩევად რამდენჯერმე იყო დანიშნული, მაგრამ ყოველთვის გადასდეს სხვა და სხვა მიზეზით, განსაკუთრებით მოწმეთა დაუსწრებლობის გამო.

## სომეხთა ცხოვრება

✦ დღეს განსვენებულ **ალ. ქალანთარის** ხსოვნის აღსანიშნავად სომეხთა სამხატვრო-სალიტერატურო სალონში დანიშნულია მორიგი jour fixe, „გლოვის საღამო“. დასწრება შეუძლიანთ საგანგებოდ მიწვეულთ. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. მუდმივ მოსიარულეთ შეუძლიანთ დაესწრინენ სასეზონო ბილეთებით.

## გორი.

✦ შაბათს, 2 ნოემბერს, ადგილობრივ საკრებულოს დარბაზში გაიმართება ფრიად საინტერესო **სალიტერატურო-სამუსიკო საღამო-მეჯლისი** ჩვენი მცხოვანი მგოსნის **აკაკის** მონაწილეობით. დიდი ხანია ნატრობდნენ გორელები თავისი თვალით ენახათ ჩვენი **პოეზიის** მარგალიტი. ბ-ნი **აკაკი** პირველად მობრძანდება გორში და იმედია მას გორელები ღირსეულად შეეგებებიან.

✦ კვირას, 3 ნოემბერს, ამავე საკრებულოს დარბაზში დილის თერთმეტ საათზე მოხდება გორის ქართველ ქალთა წრის **„მანდილოსანი“ს** წევრთა **მეორე საზოგადო კრება.**

✦ რუსეთიდან ჩამოვიდა და აქ დაბინავდა ხარკოვის უნივერსიტეტის ორდინატორად ნამყოფი ექიმი **მ. დ. წინამძღვრიშვილი**.

✦ კვირას, 27 ოქტომბერს, სომეხთა ტაძარში გადაიხადეს განსვენებულ აგრონომის **ალ. ქალანთარის** სულის მოსახსენებლად პანაშვიდი. დაესწრო მრავალი ხალხი, როგორც სომხები, ისე ქართველები. წარმოითქვა სიტყვები.

✦ წ. კ. საზოგადოების **სამკითხველოს შენობას** ამ დღეებში აკურთხებენ.

✦ შაბათს, 26 ოქტომბერს, საზ. საკრებულოს დარბაზში გორის სავაჟო გიმნაზიასთან არსებულ მშობელთა წრის სასარგებლოდ გაიმართა რუსულ-ქართული წარმოდგენა. შემოსავალი კარგი იყო. არ შეიძლება არ მიექცეს ყურადღება მოსწავლე ახალგაზრდობას, რომელთა საქციელმა ამ საღამოს ყოველი ზრდილობის საზღვარი გადალახა.

# უცხოეთიდან ჩვენში შემოსატანი იარაღები

**1. ცხვრის საპარსი იარაღები.**

ცხვრის საპარსი მანქანა ორი ტიპისაა № 1 და **№ 2.** ორივე ხელით სატრიალებელია. № 1-ს მარტო ერთი მაკრატელი აქვს, მე-№ 2-ს კი ორი. მაკრატელი სადალაქო მანქანას ჰგავს და ისედაც მოძრაობს. (ამ მანქანების სურათები იხილე ჟურნალ „მოსავალი“ს № 9-ში, 12 მაისი 1912 წ.).

**№ 1 ღირს 50 მან., № 2-- 115 მ.,** ბათომში ჩამოტანით, № 2-ზე სამ კაცს შეუძლიან მუშაობა. ერთი ბორბალს დაატრიალებს, ორი კი ცხვარს გაპარსავს. ყუთი, რომელზედაც ბორბალია დამაგრებული, შეიძლება ჩვენშიაც გაკეთდეს.

მანქანა ძლიერ წმიდად ჰპარსავს და ამნაირად უფრო მეტ მატყლს მისცემს ცხვრის პატრონს, ვიდრე ხელის მაკრატლით გაპარსვა. ამას გარდა იგი ათჯერ უფრო ჩქარა პარსავს, ვიდრე ხელის მაკრატელი. ქარხანა 15 წლის გარანტიას აძლევს მყიდველებს, თუ, რასაკვირველია, მანქანა სუფთად იქნება შენახული. მანქანა ძლიერ ადვილი სახმარია და, რომ არ დაიჟანგოს, დრო-გამოშვებით უნდა გაიქონოს. № 1 ისე იაფია, რომ ყველას შეუძლიან მისი შეძენა. მეორეც არ არის ძვირი და მისი შეძენა შეიძლება საამხანაგოთაც. ვინც სამ მანქანას გამოიწერს ერთად, მას დაეკლება 10 პროც. მანქანასთან მოჰყვება ქართულად დაწერილი ახსნა, თუ როგორ უნდა იხმარონ იგი, თუმცა მანქანა უამისოდაც ძლიერ ადვილი სახმარია.

**2. ცხვრის საპარსი მაკრატლები (დუქარდები),**

ხელით გასაპარსი

ეს მაკრატლები ინგლისური ფოლადისაა და შეუდარებელია თავისი ღირსებით. ამას გარდა, ესეთივე სისტემის მაკრატლები ჩვენში იყიდება 1 მან. 80 კ.—2 მან. 40 კ., როდესაც ჩვენ შეგვიძლიან შემდეგ ფასებად მივაწოდოთ მყიდველთ თითო ცალი ბაჟის გადახდით:

| | | | |
|---|---|---|---|
| № 1 | 12 ცალი | 9 მ. 25 კ. | —95 კ. |
| № 2 | „ | 9 მ. 50 კ. | —98 კ. |
| № 3 | „ | 8 მ. 75 კ. | —92 კ. |
| № 4 | „ | 12 მ. 75 კ. | 1 25 კ. |
| № 5 | „ | 6 მ. 75 კ. | —75 კ. |
| № 6 | „ | 7 მ. — | —74 კ. |

ზემოაღნიშნული ფასები ბათომში ჩამოტანით არის ნაანგარიშევი. შემოსატანი ბაჟი 1 ფუთზე 7 მან. 50 კ. ვინც 100 ცალს გამოიწერს, განსაკუთრებულ ფასებს ვუანგარიშებთ. ფასებში განსხვავება დამოკიდებულია სიგრძეზე, გაფურვაზე და ფოლადის რაოდენობაზე, (ამ მაკრატლის სურათი იხ. ჟურნალ „მოსავლის“ № 9-ში, 1 მაისი 1912 წ.).

**3. წიწილების გამოსაჩეკი მანქანა (ინკუბატორი).**

ჩვენ ვართ წარმომადგენელი მთელი კავკასიისათვის უდიდესი ინგლისის ინკუბატორების ქარხნისა Tamlin. ჩვენ შეგვიძლიან მივაწოდოთ ჩვენს მეურნეთ ხელსაყრელ ფასებში შემდეგი საუკეთესო ღირსების ინკუბატორები:

1. 30 ქათმის კვერცხის, გასაშრობი ყუთით და ავტომატიური ლამფით, ბათომში ჩამოტანით ღირს 35 მ. 75 კ. შემოსატანი ბაჟი დაახლოვებით—3 მ. 25 კ.

2. 60 ქათმის კვერცხის, გასაშრობი ყუთით და ავტომატიური ლამფით, ბათომში ჩამოტანით 30 მან. 75 კაპ. ღირს. შემოსატანი ბაჟი დაახლოვებით—4 მან. 95 კაპ.

3. 100 ქათმის კვერცხის, გასაშრობი ყუთით და ავტომატიური ლამფით, ბათომში ჩამოტანით ღირს 45 მან. 25 კ. შემოსატანი ბაჟი დაახლოვებით—4 მ. 95 კაპ.

4. 200 ქათმის კვერცხის, გასაშრობი ყუთით და ავტომატიური ლამფით. ბათომში ჩამოტანით ღირს 78 მ. 50 კ., შემოსატანი ბაჟი დაახლოვებით—5 მ. 55 კ.

ბაჟი ყველგან ცალკეა ნაანგარიშევი და გადახდება მყიდველს ბათომში საქონლის მიღების დროს. ოთხივე ჩამოთვლილი მანქანა შიგნიდან სპილენძით არის შემოვლებული, გარედან პატარა ტერმომეტრი აქვს სითბოის გასაზომად და ეგრედ წოდებული გასაშრობი ყუთი, რომელშიაც ახლად გამოჩეკილი წიწილები უნდა ჩასხან, რომ არ გაცივდნენ; ავტომატიური ლამფა შეერთებულია თუნუქის სანავთესთან, რომელშიაც სამი კვირის საყოფი ნავთია ჩასხმული, და ამ ხნის განმავლობაში ლამფას განუწყვეტლივ უკიდია. ჩვეულებრივ ლამფას კი ყოველ დღე სჭირდება ნავთის ჩასხმა, რაიც სითბოს ერთ დონეზე ვერ დააყენებს.

**4 კვერცხების გასასინჯი სანათი.**

საქართველოდან და საერთოდ კავკასიიდან ყოველ წლივ დიდძალი ქათმის კვერცხი გააქვთ საზღვარგარეთ. გაზიდული კვერცხი სხვა და სხვა ხარისხებად ირჩევა სანათის საშუალებით. ჩვენი მეურნენი გაცილებით უფრო მეტს ფასში გაჰყიდიან კვერცხებს, თუ თითონვე იკისრებენ მათ ხარისხებად გადარჩევას. ამისათვის კი საჭიროა დააბნელოთ ოთახი და აღნიშნული სანათით თითეული კვერცხი გასინჯოთ. სინათლეზე დაინახავთ საღია კვერცხი თუ ლაყე.

სანათთან მჯდომს ორივე გვერდით უნდა ედგას კალათები, რომ კარგი და უვარგისი კვერცხები ცალ-ცალკე ჩააწყოს. ერთ მომუშავეს ასეთ სანათზე შეუძლიან გასინჯოს რა ოდენიმე ათასი კვერცხი.

თითო სანათი ბათომში ჩამოტანით და ბაჟის გადახდით ღირს—1 მ. 60 კ.

ჩვენ მზადა ვართ მსურველთ გავუგზავნოთ თითო სანათი 2 მანეთად. ბაჟის გადახდით ფოსტით.

**5. ქათმების, ინდოურების და ბატების სასუქი მანქანა.**

ახლანდელ დროში დიდი მოთხოვნილებაა შინაურ ფრინველებზე დიდ ქალაქებში. საკლავი ფრინველი გასუქებული უნდა იყოს. რომ ეს გასუქების პროცესი დააჩქარონ ამისათვის ევროპაში ამჟამად ყველგან ხმარობენ ქათმის გასასუქებელ მანქანას. ასეთი ჭმევა არა სასიამოვნო გრძნობას უნდა იწვევდეს ფრინველებში, მაგრამ მიუხედავად ამისა 10 დღის განმავლობაში ფრინველი სუქდება ძლიერ. ამ ჟამად, მაგალითად, ლონდონში 12-მდე სასტუმროა, სადაც 600 ქათამი იკვლება ყოველ დღე თითო მათგანში. ეს ქათმები მოდის საფრანგეთიდან, სადაც მათ მანქანებით ასუქებენ, ასეთი მანქანები ძლიერ ბევრი გააქვთ ეხლა რუსეთშიაც: პეტერბურგში, მოსკოვში, ხარკოვში, კიევში, როსტოვში, ოდესაში და სხვა.

ეს მანქანა სამფეხაა და ერთ ბორბალზეა მოწყობილი, რომ ერთი ადგილიდან მეორეზე შეიძლებოდეს მისი გადატან-გადმოტანა.

ფრინველების საკვებავი უნდა იყოს მოხარშული და წვნად ქცეული. ის ჩაჩმახულია თუნუქში, რომელსაც რეზინის მილი აქვს გაკეთებული. ეს მილი ფრინველის ნისკარტზე უნდა წამოეცვას და შემდეგ ფეხით უნდა აამუშაოთ მანქანა, და წვენი ნელნელა ფრინველის პირში ჩაესხმება. ბათომში ჩამოტანით მანქანა დაჯდება 29 მანეთი (ინკუბატორების, კვერცხის გასასინჯი სანათის და ფრინველთა სასუქი მანქანების სურათები იხ. „მოსავალის“ № № 23-24 ში, დეკემბერი, 1912 წ.)

ყველა ზემოაღნიშნულ საქონლებზე ბაჟის ფული ცალკეა ნაანგარიშევი და იგი გადახდება მყიდველს ბათომში საქონლის მიღების დროს.

ინკუბატორების მყიდველთ მანქანასთან ერთად გაეგზავნებათ ქართულად დაწერილი დარიგება, თუ როგორ უნდა იხმაროს ეს მანქანა, ეს დარიგება დაბეჭდილი იყო უკვე „მოსავლის“ № 7-8-ში, აპრილი 1913 წ.).

ზემო აღნიშნული საქონლის გამოწერა შეიძლება შემდეგი ადრესით:

D. GHAMBASHIDZE et Co 61, Mark Lane London (E. C.)

ტელეგრამის მისამართი: Livius London (მხოლოდ ორი სიტყვა).

საქონლის მყიდველებზე ჩაბარებას და ბაჟის გადახდას ბათომში ეწევა ჩვენი ფირმის აგენტი მიხეილ გორდეზიანი. მისი ადრესი: მ. გორდეზიანი. ქალაქის ბაღი, ბათომი.

ჩვენი ფირმა აგრეთვე კისრულობს ყოველივე ჩვენებური სამეურნეო ნაწარმოების გაყიდვას უცხოეთში, სახელდობრ: გერმანიაში, ავსტრიაში, იტალიაში, საფრანგეთში, ინგლისში და ამერიკაში.

პირობების შესახებ გთხოვთ შეგვეკითხოთ და ყოველივეს გაცნობებთ.

ჩვენი ანგარიშები ევროპის ბაზრის შესახებ იბეჭდება ჟურნალ „მოსავალში“ და „სასოფლო გაზეთში“.

**დავით ღამბაშიძე და ამხანაგობა.**

# პასუხი ბაჩანას

**(მისი ლექსის გამო *)**

> მაშინ კარგია კაი ყმა,
> რო დილა-ბინდზე დგებოდეს,—
> იცვამდეს გრილსა რკინასა
> „ომს ვიზამ“, იმუქრებოდეს.
> ლურჯას ჰხრავდეს ლაგამსა,
> წაღმა-უკუღმა დგებოდეს
> **იხარჯებოდეს კაი ყმა,**
> ფარი ოხრადა რჩებოდეს!..
> **ხალხური.**

რა ფრიად დავღონებულვარ,
ცრემლი ჩადგება თვალებში,
მუხლთ მეკვეთება, ვმუნჯდები,
სიდამბლე მომდის მკლავებში:
ყორნის ყრანტალად ქცეულა
ბულბულის სტვენა ჰალებში;
გულსა და გონებას მირევს,
ავად ბუნების თარეში,—
კარგისა შეცვლა ავზედა
ამ ჩვენს სამშობლო მხარეში!..

მიკივის: „გაიგონეო,
„მზეს უმზეობა სჯობია;
**„კაი ყმა,** ვინც უნდა იყოს,
„ბრიყვი და დასაგმობია!“
რა უნდა ვუთხრა მე იმას,
ვინც ასეთს ფიქრსა ჩვეულა?!..
როგორ მწყინს კაი ფანდური
შუაზე გადამტვრეულა.
რა ცუდი საქმე მომხდარა,
იგიმცა წამი წყეულა!
უმსგავსობაა: კეთილი
ბოროტისაგან ძლეულა.
გული მიკვდება, თვალთაგან
მდუღარე გადმონთხეულა!..

მუხავ**), უთხარი შენს მგოსანს,—
ასწიე მკლავი გმირისა
რად მოგდგომია საჭრელად,
ცულით,—გამტეხი პირისა?
შენს კაი ყმობას დასცინის,
საჯაროდ მოქმელი ძვირისა,—
გუშინ რომ გუნდრუკს გიკმევდა,
დღეს შენს მოკვლასა ჰკივისა.
თუ არ ჰგრძნობს უსამართლობას,
სატრფიალო ხარ იმისა?!..

შენ უპასუხე, მუხავ, შენ,
მე მეტს ვერ ვიტყვი ვერასა,
მტრობაში ჩამომართმევენ
და დამიგმობენ წერასა.
ძალით ან ხვეწნით, ცხადია,
ვის მოვაწონებ მღერასა!?
მხოლოდ **კაი ყმებს** ვუსურვებ
უხვად სამშობლო კერასა!..

**ვაჟა-ფშაველა.**

*) იხ. ჟურ. „განათლება“ გვ. 627, ლექსი „ვაჟა-ფშაველას“.

**) გაიხსენეთ ლექსი ბაჩანასი: „მუხავ, მოყვარხარ ტიალო“ და სხვა.

# ალფრედ როსელ უოლესი

**(ნეკროლოგი)**

25 ოქტომბერს გარდაიცვალა მცხოვანი მეცნიერი, გამოჩენილი ბუნებისმეტყველი და იშვიათი მოაზროვნე ალფრედ როსელ უოლესი. მან დარვინს ხელი შეუწყო დიდმნიშვნელოვან კანონის აღმოჩენაში, ეს არის სახეთა ცვალებადობა და ბუნებრივი შერჩევის კანონი. იგი ნატურალისტი იყო არაჩვეულებრივ გონების სიმძლავრით, ერუდიციით და პირადი გამოცდილებით. უოლესმა დიდი სამსახური გაუწია ბიოლოგიას. მან მეცნიერებას ახალი გზა გაუწალდა. დიდია მისი დამსახურება მეცნიერების წინაშე და ამიტომაც დიდია და აუნაზღაურებელი დანაკლისი.

ალფრედ როსელ უოლესი დაიბადა 1823 წელს, ქალაქ უსკში, მონმოუტშირში. მისი მშობლები ხელმოკლედ იყვნენ. ათი წლისა იყო, როცა მას მოუკვდა მამა; 24 წლის უოლესი იძულებული იყო თავის საზრდოსთვის ეზრუნა.

იგი ჯერ თავისი ძმის დურგლის თანაშემწედ იყო, შემდეგ კი მიწის მზომლის თანაშემწედ.

რამოდენიმე ხანს მესაათესთან იყო. მთელ თავისუფალ დროს უოლეს, უხელმძღვანელოდ სწავლობდა ბოტანიკას. მან მეცნიერებისადმი დიდი სიყვარული იგრძნო და მთელ თავისუფალ დროს მის შესწავლას ანდომებდა.

1851 წელს უოლეს შეძლება მიეცა აესრულებინა დიდი ხნის ოცნება—ემოგზაურნა ტროპიკულ ქვეყნებში მდინარე ამაზონკასა და ორინოკოს მიდამოებში; აქ მან ოთხ წელიწადს დაჰყო და საუცხოო კოლექციები შეაგროვა; ამ მოგზაურობის შემდეგ იწყება მისი ნამდვილი სამეცნიერო მოღვაწეობა. ლონდონში დაბრუნებისას დასწერა წიგნი თვის მოგზაურობაზე, გაიცნო ცნობილნი მეცნიერნი გიოსლი, დარვინი და სხვანი. გულმოდგინედ შეუდგა მეცნიერულ კვლევა-ძიებას.

1854 წ. იგი კვლავ გაემგზავრა სამოგზაუროდ მალაის კუნძულთ არქიპელაგზე. იქ დაჰყო 1862 წლამდე. აქ შეჰკრიბა აუარებული სამეცნიერო მასალა. აქვე საბოლოოდ ჩამოყალიბდა მისი აზრი ბიოლოგიის უმთავრეს საკითხებზე. კუნძულ ტერნატედან მან დარვინს გამოუგზავნა თვისი შესანიშნავი მოხსენება, სადაც უკვე აღიარებულ იყო არსებობისთვის ბრძოლის კანონი და ბუნებრივი შერჩევა. ეს მოხსენება დარვინის მოხსენებასთან ერთად წაიკითხეს სამეცნიერო საზოგადოებაში.

როდესაც ინგლისში დაბრუნდა, უოლესმა მრავალი სამეცნიერო გამოკვლევა დასტამბა.

უოლესი მხოლოდ ვიწრო სპეციალისტი არ იყო მეცნიერების განსაზღვრულ დარგში. მას აინტერესებდა ეკონომიური და საზოგადოებრივი საკითხებიც. ფართო საზოგადოება მას კარგად იცნობს, როგორც „მიწის ნაციონალიზაციის“ ავტორს. უოლესი ბოლოს სწერდა და გამოკვლევებს მეცნიერების სხვადასხვა საკითხზე. უოლესი 90 წლისა გარდაიცვალა.

# პროფესიონალურ სკოლის მოწაფეთა

**ექსკურსია უფლისციხეში.**

(წერილი გორიდან).

ატენის ხეობას შემდეგ გადავსწყვიტეთ ახლა უფლისციხეს ვწვეოდით და ჩვენი გარდაწყვეტილება მალე სისრულეშიც მოვიყვანეთ.

კვირას, 27 ოქტომბერს 60-მდე მოწაფე გორის პროფესიონალურ სკოლისა სკოლის გამგის ელ. ზაალ. თარხან-მოურავის მეთაურობით გავემგზავრენით ფეხით უფლისციხისკენ. თან წამოგვყვნენ კიდევ ჩვენი მოღვაწე ქალი ანნა კაპანაძისა გორ. პროფ. სკოლის ახალქალაქის განყოფილების გამგე თ. ზაქ. თარხან-მოურავისა, მასწავლებლითურთ, რომელთაც ამ მიზნით საგანგებოდ ამოეყვანათ ახალქალაქიდან თერთმეტი მოწაფე „სახალხო გაზეთის“ კორესპონდენტ-თანამშრომელი ბ. სანგანიძე და რამდენიმე მანდილოსანი. ვეება მზე მთებიდან ამოგორებულიყო და თვისი ნელი სხივები მიმოეფანტა არე-მარესთვის. მყუდროება სუფევდა ირგვლივ... მაგრამ მალე დაირღვა იგი.. გოგონების მხიარულმა სიმღერამ, უზრუნველმა სიცილ-ხარხარმა მალე გამოაფხიზლა არე-მარე. ახმაურდა დროებით ველმინდორი, თითქოს გამოფხიზლდა, გაიღიმა... სამი საათის სიარულის შემდეგ უკვე უფლისციხეში ვიყავით. უფლისციხე სომხებითაა დასახლებული. სოფელი პატარაა და მეტად ბინძური. სახლის წინა ჰყრიან ნაგავს, პატივს, უსუფთაობას. გავლა შეუძლებელი ხდება. კოჭამდე უსუფთაობაში მივდიოდით. გლეხები ცნობისმოყვარეობით გადმოგვყურებდნენ ბანებიდან, იღიმოდნენ, სალამს გვაძლევდნენ... ზოგიერთს გაკვირვებაც აღბეჭდოდა სახეზე, ალბად პაწია ქალები რომ დაინახა იმიტომ, ზოგიერთიც ირონიით ქვეშ ქვეშ გამოიყურებოდა. ერთმა დედაბერმა ისიც მოგვაძახა წუწუნით და თავის ქნევით: „უი, შვილებო, რა ძალა გადგიათ, რისთვის იხოცავთ თავებსა“-ო... მივედით, შევისვენეთ, შევნაყრდით. გაიმართა სიმღერები, ცეკვა. მერე კი მოწიწებით შევუდექით ნაქალაქევის დათვალიერებას. წინ მიგვიძღოდა ბ. სანგანიძე და საჭირო ცნობებს გვაწვდიდა. გაისმა ზარის ნელი ხმა. ბავშვები რეკდნენ ზარს, მისი ხმა მგლოვიარედ, სევდიანად ეფინებოდა ძველს ნაქალაქევს. ქალაქი თითქოს აღსდგა, ქალაქი თითქოს სცოცხლობდა... თვითეული ჩვენგანი რაღაც ღვთაებრივ მოწიწებას გრძნობდა, თვითეული ჩვენგანი თითქოს გრძნობდა სიახლოვეს ჩვენი წინაპართ სულთა...

დავათვალიერეთ მღვიმეები, **თამარის ნაფეხური** და მერმე **თამარის დარბაზში** შევიყარეთ ყველამ თავი. ა. სანგანიძემ მოკლედ განუმარტა ექსკურსანტებს, რა არის საისტორიო ნაშთი, რა მნიშვნელობა აქვს მათ ერისათვის და როგორ უნდა მოეპყრონ მათ და დასძინ: ვაი იმ ერს, რომელსაც არა აქვს ისტორიული ნაშთები.. აგერ, თვალუწვდენ ზღვის შუა მოდის გემი... კომპასი არა აქვს და გზა არევია. აღარ იცის სადა ჰპოვოს ნავთსაყუდელი.. ებნევა გზა.. ამოვარდება ქარიშხალი, დაჰბერს, დაჰქუხებს.. ეკვეთება გემს აბობოქრებული ტალღა, შთანთქავს, შთალუპავს მას უფსკრულში, იმიტომ რომ გემს არ ჰქონდა კომპასი, გზის მაჩვენებელი. ასეთია ერიც, რომელსაც დაჰკარგვია წარსული, აღარა აქვს საისტორიო ნაშთები. უგზო-უკვლოდ იხეტიალებს იგი ერი ცხოვრების აბობოქრებულ ზღვაზე, არა აქვს მას კომპასი, არა აქვს საისტორიო ნაშთი, შემოჰკრავს ტალღა და შთაილუპება იგი ცხოვრების უფსკრულში, მოკვდება, მოისპობა... შემდეგ მოკლედვე გაიხსენა საქართველოს აყვავების ხანა, აურაცხელ მტერთა შემოსევა და მათ მიერ რბევა ჩვენი სამშობლოსი, გაგვაცნო უფლისციხის ისტორია და თავისი სიტყვა ასე დაასრულა: იქნება, ქალებო, ჟამნობამდე გულგრილად შეჰყურებდით ამ გარუჯულ, შავ-ბნელ კედლებს, იქნება ყურადღებას არც კი აქცევდით ამ ნანგრევებს, მაგრამ ხომ გაიგეთ და გაიგებთ კიდევ რა მნიშვნელობა ჰქონიათ მათ ჩვენთვის, ჩვენი მომავლისათვის. გიყვარდეთ ასეთი ნაშთები, სადაც ჰნახოთ, ნუ შეურაცხყოფთ, ნუ შეახებთ ცუდად

ვიტყვით მხოლოდ, რომ, თუმცა კრებულში არც ერთი რითმიანი ნაწარმოები არა გვხვდება, მაგრამ ზოგიერთი საგალობელი მოკლებული არაა ერთგვარს რიტმს, სალექსო ზომას ანუ ტაქტს. აქ ხშირათ ვხვდებით იამბიკონებს (იხ. მაგალ. ივანე მინჩხის „დასდებელნი აღდგომისანი“, გვ. ია—იზ; ივანე მტბევარის საგალობლები, გვ. ნე—ნზ); ვხვდებით, აგრეთვე, აკროსტიხიანს საგალობლებს, რომელთა მუხლების პირველი ასოები მთელს ფრაზებს წარმოადგენენ (იხ. მაგალითად, გვ. პ—პთ, სადაც აკროსტიხი იძლევა ფრაზას „ქრისტეს შორისა შევამკობდით, ერნო“; გვ. რნც—რჲგ, სადაც აკროსტიხში გამოყვანილია ავტორის სახელი „ეზრა“ და ფრაზა: „ქრისტე, ადიდე საურმაგ და ძეჲ მისი მირეან“; გვ. რჲც—რჲზ, რჲც—როე და სხვანი); ერთი საგალობელი (მიქაელ მოდრეკილისა) თავისი აკროსტიხით ეგრეთ წოდებულს „ანბანთ ქებას“ წარმოადგენს, ე. ი. მისი მუხლების პირველი ასოები წარმოადგენენ რიგზე დაწყობილს ქართულ ან-ბანს, ა-იდან დაწყებულს და ჭ-ეთი გათავებულს (გვ. სლე—სლთ); დასასრულ, კრებულში მოთავსებულია ნამდვილი თექვსმეტმარცვლოვანი შაირი (პირველი ტიპისა) აკროსტიხით: „ფილიპე-ბეთლემი“ და ერთმარცვლოვანი რითმითა „ო“ (გვ. ტჲდ).

ასეთია ამ შესანიშნავი კრებულის სახე და შინაარსი. რაც შეეხება მის მნიშვნელობას, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამგვარი მასალების გამოცემას შეუძლია პირდაპირ ახალი ეპოქა შექმნას ჩვენი ძველი **მწერლობის,** და კერძოთ კაზმულსიტყვაობითი მწერლობის, შესწავლის საქმეში. დიდძალს, დაუფასებელს მასალას იძლევა ეს კრებული ძველი ქართული **ენის** მეცნიერულ შესასწავლადაც; ამ მხრით კრებულში მოთავსებული მასალა უმაღლესი ნდობის ღირსია, რადგან მთელი გამოცემა დამყარებულია იმავე საუკუნეთა ხელნაწერებზე, რომელთაც თვით გამოქვეყნებული თხზულებანი ეკუთვნიან.—მაგრამ მარტო სამეცნიერო ინტერესით არ განისაზღვრება ამ კრებულის მნიშვნელობა: თუ დღემდე ჩვენი დროის ქართველ მწერალსა და კერძოთ, მგოსანს კიდევ ეპატიებოდა ჩვენი ძველი კლასიკური ენის უცოდინარობა, რადგან სათანადო მასალა გამოქვეყნებული არ იყო,—ამიერიდან ეს მას აღარ ეპატიება; პირიქით, პირდაპირ შეუწყნარებელ ცოდვად ჩაეთვლება, თავისი თავი „ქართველ მწერლად“ მიაჩნდეს და, მე-XII საუკუნის კლასიკოს მგოსანთა სტილთან ერთად, იმ უძველეს კლასიკოს-მწერალთა მაღალპოეტური სტილი და ანკარა წყალივით წმინდა ქართული ენა არ შეითვისოს, რომელთ ნაწერებზედაც აღიზარდნენ და განვითარდნენ დიდებული კლასიკოსები „ოქროს საუკუნისა“: იოანე შავთელი, ჩახრუხაძე და შოთა რუსთაველი. ჩვენა გვგონია, ბ-ნ ინგოროყვას მიერ გამოქვეყნებული ტომი და აგრეთვე ის ტომებსაც, რომელნიც გამოქვეყნებულ იქნებიან, უნდა გახდნენ, „ვეფხის ტყაოსანთან“ და ქართულ „დაბადებასთან“ ერთად, სამუდამოდ საკითხავ წიგნად ყოველი ქართველი მწერლისა და მგოსნისათვის.

ამიტომ ვუსურვებთ ჩვენის ახალგაზრდა მკვლევარის შესანიშნავს გამოცემას ფართო გავრცელებას ქართველ მწერალთა და ინტელიგენტთა შორის, ხოლო თვით ბ-ნ ინგოროყვას სიმხნესა და დღეგრძელობას, რათა შესძლოს დაწყებული შრომის სასურველად დაგვირგვინება და შემდეგშიაც კიდევ ბევრი შეგვძინოს ამგვარი გამოცემა და შესაფერი გამოკვლევა.

**ხ. ონ—კანელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელს, ნუ წარყვნით მის კედელებს უშნო წარწერებით ამ ჰეროსტრატებივითო (გვარებით და სხვა უშნო წარწერებით აჭრელებულ კედლებზე მიუთითა). ვაწია ქალები სწუხდნენ, რომ ასე წაერყვნათ კედლები სულელ ადამიანებს და ზოგიერთებმა იქვე დაუწყეს წარწერებს შლა. დიდხანს ვიყავით თამარის დარბაზში. შევყურებდით ძვირფას ნაშთს, შევყურებდით ჩაფიქრებულს კედლებს და გული ნაღველით გვევსებოდა. როდემდის, როდემდის უნდა სუფევდეს ასეთი გულგრილობა, უპატრონობა? ასეთ ნაშთებს მოვლა უნდა, პატრონობა, შენახვა. ჩვენ კი.....

პატივცემულმა **თამარ ზაქარიას ასულმა თარხან-მოურავმა** აქვე გამოსთქვა სურვილი გამართოს ამ დარბაზში მერმის ზაფხულში (რადგან სასცენო ადგილი, მოწყობილობა ხელს უწყობს) წარმოდგენა და წარმოადგინონ რაიმე ისტორიული პიესა. სხვა მანდილოსნებმაც მოიწონეს ეს აზრი. დავათვალიერეთ ყველა მღვიმეები. კარგა ხანს ვიყავით კიდევ აქ. ცაში ატყორცნილ კლდის წვეროდან მდუმარედ გადმოვყურებდით მოდუდუნე მტკვარს, გადმოვყურებდით მის ნაპირებს, არა ერთხელ და ორჯელ ჩვენი მამა-პაპათა სისხლით ღებილებს, გადმოვყურებდით ჩვენს უპატრონობას, უთაობას.....

გოგონებმა დაჰკრეს სიმღერა და ტაში, იცეკვეს, იმხიარულეს... დიდხანს აღვიძებდა კიდევ მდუმარე კლდეებს მათი გულუბრყვილო სიცილ-ხარხარი... მზემ ქურდულად აკრიბა მიწიდან თვისი სხივები და დასავლეთისკენ გაიპარა... გამოვბრუნდით უკან ნასიამოვნებნი.. მთვარემ ვერცხლის ფერი ბადე ლამაზად გადაჰფინა არე-მარეს. მდუმარე ღლით, ეხლა უფრო დადუმებულიყო, ჩაფიქრებულიყო ბუნება. ნიავი არსაიდან იძვროდა... ნელის ნაბიჯით, მხიარულად, სიმღერებით მოვიძვროდით გორისკენ.. როგორც იყო გავლიეთ გრძელი გზა და რვის ნახევარზე უკვე ყველა ჩვენ-ჩვენს ბინაზე ვიყავით... **გან.**

## წკიპურტები

**აკაკის ახალი ხაკვესი.**

საწულიკიძოდან გამოსულმა ერთმა ახალგაზრდამ მოიწადინა სახელის მოპოვება. ამიტომ მან, სხვა რომ ვერა გააკეთა, „ლექციების" კითხვა დაიწყო. ამ ლექციის თავი და ბოლო იმდენად გაუგებარი იყო (ხშირად კი არც თავი იყო და არც ბოლო), რომ ლექციის დასასრულს „ლექტორი" მსმენელს,—მეგობარს ეკითხებოდა: თავში რა ვსთქვიო. ერთ მის ლექციას შემთხვევით დაესწრო მხცოვანი მგოსანი აკაკი. ლექტორი ყოველი სიტყვის შემდეგ ორჯერ იმეორებდა „რასაკვირველია"-ს. აკაკიმ ვერ მოითმინა ამდენი აბდაუბდა და „რასაკვირველია". როდესაც „ლექტორი" მას უცქეროდა და კიდევ „რასაკვირველია" გაიმეორა, აკაკიმ ხმა-მაღლა სთქვა:

„შენი ლექციის შემდეგ საკვირველი აღარაფერია"-ო. **ჩვენ.**

ქართული სამეურნეო საზოგადოების რამდენიმე წევრმა განცხადება შემოიტანა ჩვენი გაზეთის რედაქციაში: რადგან საბჭოს კრებაზე ლაპარაკი მუდამ არაქართულადაა, ამიტომ პროტესტს ვუცხადებთ საზოგადოების მეთაურებს ასეთი სამარცხვინო და ყოვლად შეუფერებელის საქციელისათვის და თავს ვანებებთ დღეიდან წევრობასაო.

ჩვენც ჩვენის მხრივ ვეკითხებით ქართული სამეურნეო საზოგადოების საბჭოს: ნუ თუ ყოველივე ეს მართალია? **ჩვენ.**

## უცხოეთი

**გადაშენების შიში ინგლისში.**

ამ ჟამად ბევრს ლაპარაკობენ ინგლისში მცხოვრებთა რიცხვის საგრძნობლად შემცირების თაობაზე. გადაშენების შიშმა დიდი ხანია შეიპყრო საფრანგეთი და ბევრი დაიწერა ამის თაობაზე. ეხლა ინგლისში „დაურღვეველ" ფაქტად აღიარებენ დიდი ხალხის გადაშენებას. სახელდობრ: დაბადებულთა რიცხვი ყოველწლივ კლებულობსო. 1876 წლიდან 1912 წლამდე დაბადებულთა რიცხვი თანდათან კლებულობდა. 1879 წელს ათასზე იბადებოდა 36,3, ხოლო 1911 წელს ეს რიცხვი 24,4 უდრიდა. 1912 წელს კვლავ იკლო კოეფიციენტმა—6,6 ნაკლები იყო. დაქორწინება ძლიერ დაგვიანებულად ხდება. 1911 წელს დაქორწინებულ მამაკაცთა წლოვანება საშუალოდ იყო 29 წელი, ქალთა 26,83. თან და თან კლებულობს პროცენტი 20—25 წლამდე დაქორწინებულ ქალთა, ხოლო 30—35 წლამდე დაქორწინებულთა რიცხვი ძლიერ მატულობს. ამ ფაქტების მიზეზად შემდეგს ასახელებენ: მამა კაცთ არ სურთ ახალგაზრდობაში ჯვარის წერა. აი როგორ ახსნიათებს თავის წიგნში კემპტონ მეკენზი ამ მოვლენას: „ჩვეულებრივი მამაკაცი თრთის ქორწინების შიშით, ქალი პირიქით მთელი არსებით ელტვის ქმრიანობას. ქორწინება—თავისებური „დიდი ხარტიაა" დედათა სქესისთვის, ხოლო ყოველი მამაკაცი—პოტენციალურ მეფეს იოანე დაუმკვიდრებელს მოგვაგონებს. მამაკაცი ინსტიქტიურად გაურბის ცოლიანობას. მამაკაცთა უმრავლესობისთვის ეს უღელში შებმაა, მაშინ როდესაც ქალთა უმრავლესობისთვის—ეს გზაა თავისუფლებისაკენ". ინგლისში საშუალო კლასი ისე უცქერის ადრე ქორწინებას, როგორც რაიმე უბედურებას. საინტერესოა აგრეთვე „დედის" წერილი, რომელიც ერთ ერთ ინგლისურ ჟურნალში დაიბეჭდა და საზოგადოება აახმაურა. „დედა" მოუთხრობს შვილების უნუგეშო მდგომარეობას, რომელთაც კემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტი დაუსრულებიათ და აფრიკაში გაუწესებიათ სამსახურში. შვილებს სურთ, ამბობს დედა, თავისი წრის და განათლების ცოლები ჰყავდეთ, მაგრამ კოლონიაში თეთრი ქალები არ არიან, ხოლო შავი ქალები ბევრია და მათთან კავშირი ჯანს ავნებსო. „დედა" წინადადებას იძლევა ახალგაზრდებს ნება მიეცეთ ქალებთან დაუქორწინებლივ იცხოვრონ, რადგან, მისი აზრით, ქორწინება ისეთი ხუნდებია, რომელსაც თავის ნებით ძნელად თუ ვინმე გაიკეთებსო. არის სხვანაირი მდგომარეობაც: არც თუ მატერიალურად უზრუნველყოფილი ქალები მიჰყვებიან ქმარს დიდის ხალისით. დამოუკიდებელი ქალი ინგლისში ქორწინებას გაურბის, უმაღლეს სწავლა დამთავრებულთაგან, რომელთაც მაშასადამე საშუალება აქვს და მოუკიდებლად ცხოვრებისა, მხოლოდ 25 პროც. თხოვდება.

ქალთა მოძრაობა (სუფრაჟისტები) პროტესტია ქალთა მდგომარეობის წინააღმდეგ. მეორე მიზეზი დაბადებულთა რიცხვის თანდათანობითი შემცირებისა პრაქტიკული მალტუზიანობაა. მალტუზიანობა ძლიერ გავრცელებულია ყველა წრის ხალხში. ადრე დაქორწინების თეორიის მომხრენი მალტუზიანობაზე უთითებენ და ხსნას ამაში ხედავენ, მაშინ პროსტიტუციაც შემცირდება. ხოლო დამშვიდებული ინგლისელი სასოწარკვეთილ თეორეტიკოსებს უპასუხებს: შიში არ არის ერის გადაშენებისა: გააუმჯობესეთ ეკონომიური და სოციალური პირობები ხალხისა. მაშინ სიკვდილი შემცირდება. დაბადებულთა რიცხვის შემცირებას სიკვდილის პროცენტის მინიმუმამდე დაყვანის დროს მნიშვნელობა არ ექნება. როდესაც ევროპაში ათასს კაცზე ამ ჟამად 29 კაცი კვდება და ზოგან მეტიც, ლონდონში მარტო 13 და ლეჩვორთში—7 კაცი. საჭიროა არა ის, რომ ბევრი ბავშვი იბადებოდეს, არამედ დაბადებული დიდხანს და რაც შეიძლება კარგს პირობებში სცხოვრობდეს. ბერლინში ათასს ბავშვზე 170 კვდება, ხოლო ზემპტედში—70 ბავშვი ათასზე. მაშასადამე შესაძლებელი ყოფილა ერსა და იმავე ადგილას სიკვდილის სანახევროდ შემცირება. მუშების ბავშვები იხოცებიან ათასზე—250, საშუალო შეძლების ხალხის შვილები იხოცებიან ათასს ბავშვზე—77. ექიმებს ეხოცებათ ათასზე—40 ბავშვი. ყველაზე სამართლიანი და სადი შეხედულება ხალხის შეხედულებაა. შიში არ არის ერის გადაშენებისა. საჭიროა კარგი პირობები და სოციალური სამართლიანობა და შიში ეხლანდელი ინგლისელ თეორეტიკოსებისა გაჰქრება. ახალი საზოგადოება იპოვის საშუალებას გადაშენებასთან საბრძოლველად.

## რუსეთი

**პსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტში.**

პსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტის დამაარსებელი გამოჩენილი პროფესორი ბეხტერევი სახალხო განათლების მინისტრმა არ დაამტკიცა დირექტორად. ინსტიტუტის პროფესორებმა კრება გამართეს და ამოირჩიეს დეპუტაცია, რომელიც სთხოვს კასოს დაამტკიცოს ბეხტერევი ამ ადგილზე. პროფესორები აღნიშნავენ, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის ბეხტერევს სასწავლებლის წინაშე, რამდენად ცუდად იმოქმედებს დამსახურებული პროფესორის დაუმტკიცებლობა. დეპუტაციაში იქნება იურიდიულ. ფაკულტეტის დეკანი მ. მ. კოვალევსკი. ინსტიტუტის სტუდენტებმა საპროტესტო გაფიცვა გამართეს. არც ერთ განყოფილებაში მეცადინეობა არ ყოფილა სამი დღით.

პეტერბურგში 40 წლის იუბილე გაუმართეს ისტორიკოსს პროფ. ნ. ი. კარაევს.

**ხმები.** კვლავ დაიწყო ლაპარაკი სათათბიროს დათხოვნის თაობაზე. მართლაც, მინისტრები სათათბიროს ბოიკოტს განაგრძობენ. სათათბიროში არ არის მთლიანი უმრავლესობა. ოქტომბრისტების ფრაქცია გაიყო და ლერწამივით ირხევა. ნაციონალისტები ყველაფრის მიზეზად—კოკოვცევს სთვლიან. ამიტომ დაჟინებით ლაპარაკობენ სათათბიროს დათხოვნაზე, მაგრამ მაგარი ის არის, რომ მთავრობამ უფრო მორჩილი სათათბიროს შეკრების იმედი დაჰკარგა. ქვეყანა უკმაყოფილოა, მარცხნივ იწევს: ეს მდგომარეობა ნათელ ჰყო რუსეთში გამართულმა სხვა და სხვა კრებებმა.

ამბობენ, რომ კოკოვცევი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნება აკიმოვის ნაცვლად, რომელიც ეხლა ავად არის. კოკოვცევის ადგილას გორემიკინს ასახელებენ. სასახლის კომენდატად ეხლახან გადაცვლილ დედიულინის მაგიერ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს ჯუნკოვსკის დანიშნავენო. რუხლოვის გადადგომის თაობაზე სატახტო გაზეთები დაბეჯითებით სწერენ.

**გათიშვა ს.-დ. ფრაქციაში.**

სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის „მეუმრავლესეთა" და „მეუმცირესეთა" უთანხმოებამ ფრაქციის ორად გაყოფა გამოიწვია. ერთ მხარეს არიან 7 „მეუმცირესე" და მეორე მხრით—6 „მეუმრავლესე". „მეუმცირესეთ" უსაფუძვლოდ აღიარეს 6 დეპუტატის—„მეუმრავლესეთ" ულტიმატუმი, ხოლო მათ მიერ წამოყენებული ბრალდება დაუსაბუთებლად. მეუმცირესენი ამბობენ: კომისიაში დეპუტატის არჩევის დროს ვერ ვიხელმძღვანელებთ იმით, მეუმრავლესეა, თუ მეუმცირესეა იგი. ჩვენ ყოველთვის იმას ვირჩევდით, რომელიც, ჩვენის აზრით, უკეთესად შეასრულებდა დაკისრებულ საქმეს. მეუმცირესეთა ჯგუფმა წინადადებით მიმართა მეუმრავლესეთ, განაგრძონ მუშაობა კვლავინდებურად, როგორც ეს სამს სათათბიროში იყო. მეუმრავლესეთ გამართეს თათბირი და მალინოვსკის პირით უპასუხეს დახლოვებით შემდეგი: თქვენი წინადადება მოულოდნელი იყო ჩვენთვის. ამიტომაც ვერაფერს გეტყვით ეხლა გადაჭრითო და სხდომა მიატოვეს. „მეუმცირესეთ" განაგრძეს მორიგ კითხვების განხილვა.

**შრომის ჯგუფის შეკითხვა.**

შრომის ჯგუფს შეკითხვა შეაქვს სათათბიროში მოსკოვში ნოქართა კრების უკანონოდ დახურვის გამო.

## თეატრი და ხელოვნება

**სახალხო სახლი.** ოთხშაბათს, 30 ოქტომბერს, სახალხო სახლში ტასო აბაშიძის მონაწილეობით ითამაშეს კომედია „პედაგოგები", პიესა მსახიობებმა იშვიათის ანსამბლით შეასრულეს. ერთი მეორეს უკეთესები იყვნენ ტასო აბაშიძე (მასწავლებელი ქალი), ნ. გოცირიძე (დირექტორი) წუწუნავა (ინსპექტორი) და ს. ტარუაშვილი (მასწავლებელი). მსახიობთ უსულგულო მასწავლებლების ტიპი განასახიერეს. კომედიას მიაყოლეს ცაგარლის ვოდევილი: „ჭკუისა მკირს". ნ. გოცირიძემ ცოტა გადაამეტა უსტაბაშის როლის დასურათებაში. მეტრეველი ორთავ პიესაში თამაშობდა. ალბად მოიქანცა და ამას უნდა მიეწეროს ის, რომ ვოდევილში სიტყვები ებნეოდა და აზრიც არ გამოდიოდა ხანდახან. მეტის მეტი დიდი ანტრაქტები იყო და წარმოდგენა ღამის პირველის ნახევარზე დასრულდა. **ონისე.**

**ქ. ბათუმი.** 27 ოქტომბერს დიდებული მამულიშვილის და პოეტის ილიას გარდაცვალების მეექვსე წლის თავზე გამართული იყო საღამო მის სახსოვრად. ადგილობრივმა დასმა დასდგა 3 მოქ. დრამა „ბატონი და ყმა", „გლახის ნაამბობიდან", გადმოკეთებული შ. დადიანის მიერ. თვით შ. დადიანი ასრულებდა გაბროს—როლს და საუცხოვოდაც შეასრულა. მოხუცებული გლეხის პეპიას—როლს ასრულებდა კორიშელი, რომელიც საზოგადოდ კარგათ ასრულებს მოხუცებულთა როლებსა და ამ შემთხვევაშიაც გრძნობიერად დაგვიხატა უსამართლოდ დასჯილი პეპია...

არა უჭირდა-რა მგალობლიშვილს დათიკოს როლში. ტიპიური კახელი გოგო (თამრო) წარმოგვიდგინა ანდრონიკაშვილისამ. დანარჩენებიც ხელს უწყობდნენ საერთო ანსამბლს.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა აპოთეოზი—ფერადი ყვავილებით მორთული და ელექტრონით განათებული ილიას ნათელი სახე მაყურებელზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. წაიკითხეს მისი ლექსი „ქართლის დედას", „ჩემო კარგო ქვეყანავ" „მღვდლის საუბარი სწავლის-საჭიროებაზე" და სხვ. ბოლოს გრძნობიერათ იმღერეს ქ. რინელმა და ბ. გელოვანმა—„ტყემ მოისხა ფოთოლი" საზოგადოებამ ტაშის კვრით რამდენჯერმე გაამეორებინა. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო და კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. **ტრ. ი—ძე.**

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**31 ოქტომბერი.**

**უცხოეთი.**

**პეკინი.** მთავრობას აზრად აქვს პარლამენტის ფუნქციათა დროებით აღმასრულებლად დაარსოს გამგეობის ცენტრალური საბჭო. საბჭოში შევლენ გუბერნატორის მიერ წარდგენილი პროვინციის წარმომადგენელნი; იქნებიან აგრეთვე ტიბეტის და მონღოლეთის წარმომადგენელნიც. ამათ თვით ცენტრალური საბჭო მოიწვევს. საბჭო ამ წლის დამლევს დაარსდება.

**პარიზი.** (.....?) დაადასტურა საზოგადოების განცხადება, რომ დიდი სახელმწიფონი სომხეთის რეფორმების საკითხში შეთანხმდნენო, დასძინა, რომ რუსეთის მთავრობას გადაუწყვეტია ყოველი ზომა მიიღოს ამ რეფორმათა განსახორციელებლად.

**ლიმა.** პერუში მიწის ძვრამ დაანგრია ქალაქი აზანკაი. 200 კაცი იმსხვერპლა.

**ათინა.** ხელშეკრულების მუხლებში ნათქვამია: იმ ადგილების მცხოვრებთ, რომელნიც საბერძნეთის ხელში გადავა, საბერძნეთის ქვეშევრდომობა უნდა მიიღონ, თუ სამი წლის განმავლობაში საბერძნეთიდან არ გადასახლდებიან. სულთანის და მისი ოჯახის ქონება ხელშეუხებელი იქნება. ოსმალეთის სახაზინო ქონების საკითხს განიხილავს ჰააგაში სამედიატორო სასამართლო.

**ვაშინგტონი.** შეერთებულ შტატთა მთავრობა სცდილობს ჰუერტის მთავრობისათვის სესხის შოვნას. ამ გარემოებით ჰუერტი იძულებული იქნება მექსიკის პრეზიდენტობაზე უარი სთქვას.

**მუკდენი.** ადმინისტრაცია უკრძალავს პრესას კრიტიკა გაუწიოს რუსეთ-ჩინეთის ხელშეკრულებას. ხელშეკრულება ხალხის ბედს ეხება.

**ლონდონი.** ზღვაზე ადამიანთა სიცოცხლის უზრუნველყოფელი საერთაშორისო კონფერენცია დაიწყო.

**რომი.** ჯაშუშობის გამო დააპატიმრეს მანოცი და სერჟანტი პეტრული

**ვენა.** დეპუტატთა პალატაში დაიწყო მსჯელობა მინისტრ-პრეზიდენტის პასუხის თაობაზე. მინისტრ-პრეზიდენტმა ჩეხიაში თვით-მმართველობის მოსპობის გამო შეტანილ შეკითხვას უპასუხა. ჩეხელმა სოციალისტმა სმერანმა სთქვა: ერთად-ერთი სახსარი ჩეხის კრიზის ასაცილებლად საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღებაა. ჩეხის პარტიათა ლიდერმა ფიდლერმა განაცხადა: ჩეხია—გერმანიის დავის მოსარიგებლად საჭიროა ორივე მხარე დათმობის გზას დაადგესო.

**ლონდონი.** დუბლინში გაფიცული მუშები მოითხოვენ თვის ბელადის ლარკინის განთავისუფლებას და გემთა საალმშენებლო მუშებს გასაფიცაოდ მოუწოდებენ.

**ლონდონი.** ნაციონალისტ ლიბერალთა კლუბში მოხდა სააგრარო რეფორმის კომიტეტის ბანკეტი. თავმჯდომარეობდა ლლოიდ-ჯორჯი. თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ამ საქმეში მონაწილეთ. აღნიშნა ამ საქმის განხორციელების სიძნელე და იმედი გამოსთქვა, რომ კეთილი საქმე გაიმარჯვებსო.

**სტოკჰოლმი.** ნობელის ჯილდო დაენიშნა ფიზიკოსს ლეიდენის უნივერსიტეტის პროფესორს კამერლინგ ონესს და ქიმიკოს ციურიხის უნივერსიტეტის პროფესორს ვერნერს.

**რუსეთი.**

**მოსკოვი.** დასრულდა სამელიორაციო კრება. კრებაში 477 წევრი მონაწილეობდა. გამოიტანეს შემდეგი დადგენილება: შემოღებულ იქმნას კავკასიაში საერობო დაწესებულებანი, განვითარდეს მეგამბეობა და თურქესტანში დაარსდეს საამისო სასწავლებელი. სასურველად სცნეს ტუსაღთა შრომა მოჰხმარდეს ჭაობების დაშრობას, მოეწყოს სახელმწიფო—სამელიორაციო ბანკი და სხვა. შემდეგი კრება გაიმართება მოსკოვში 1915 წელს.

**პეტერბურგი.** სამკურნალო-სასანიტარო კანონ-მდებლობის კომისიამ დაადგინა გახსნას რამდენიმე საოლქო-სამართველო სამედიცინო და სასანიტარო ინსტიტუტი; ინსტიტუტი მოამზადებს სპეციალისტ ექიმებს სასამართლოს მედიცინისთვის და სანიტარიისთვის.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ შემდეგი მადლობა დამიბეჭდოთ „სახალხო გაზეთში".

ულრმესს მადლობას მოვახსენებ მსახიობს ბ-ნ ივანიძეს, რომელმაც ქ. შ. წ. კ. გ. ს. თელავის სკოლას შემოსწირა სასწავლო ნივთები 6 მ. და 55 კ., ოცი მანეთი ფულად და მთელ სკოლას—91 შეგირდს გაუმასპინძლდა ბულკებით და კამფეტებით და პროჟექტორში წასაყვანად ფული მისცა.

ქ. შ წერა-კითხვ. გ. ს. თელავის სკოლის მასწავლებელი **ნინო გოგნიაშვილი.**

რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.


## მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 12, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **ხალხისა** სღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** სღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 1 ს. 23 წ.

**ბათუმსაკენ:** № 3, **ხალ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **ჩქარი** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადამზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **ხალ.** დილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზ. გრ.** ნაშუადღ. 3 ს. 15 წ.

**მცხეთაში:** № 65, **საგარეუბნო** დილ. 8 ს. 16 წ., № 67, **საგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. 16 № 67 სღ. 8 ს. 28 წ.

**ჯულფისკენ:** **ხალ.** № 4/3, შუადღ. 12 ს. [illegible] წ.

**ყარსისკენ:** **ხალ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** სღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, **ხალ.** დილის 9 ს. 1 წ., № 11, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **ჩქარი**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, სღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათუმიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **ხამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** სღ. 5 ს 54 წ., № 4, **ხალ.** სღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**— პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასოდ საჭიროებ. დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველდღე თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დამხმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

## სანიტარო ექიმები

**უბნები:** 1—2 ბ. **ფომინა-თხინვალისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში **ქმ. ლ. ქადაგიშვილი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 **მ. ზ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკაი, 10. ტელ, 645).

7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 **გ. თ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები და გვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოთ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის საავადმყოფო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

## ვკისრულობთ:

**თარგმნას** სიტყვა-კაზმულისა და სხვა დარგის ნაწარმოებისას და აგრეთვე ყოველგვარ საბუთის ქაღალდებისას.

**კორექტურას** ქართულად გამოსაცემ წიგნებისას.

**შესწორებას** დასაბეჭდად განზრახულ ხელნაწერებისას.

**გამოცემას** წიგნებისას ავტორთა ხარჯით.

პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე პირადად ამ მისამართით: ტფილისი, მუხრანის ქუჩა, „შრომის" სტამბის გვერდით, სახლი № 12. ნაშუადღევის 2 საათიდან 7 საათამდე. ხოლო დილის 9—1 საათამდე ბინაზე: ვაკე, ქართულ გიმნაზიის პირდაპირ, სახლი გაჟონისი. ტელეფ. 9-25,

**ბაბილინა და ნ. (ნარ-კანი) კურდღელაშვილები.**

## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**დილით:**

**„606" და „914"**

**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტაციურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ავახარტოვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**ქ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საშვებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მუღანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აგეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი ბავშვთა და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საშვებიო და ქალების ავადმყ.

**ქ. დ. ბურგენიძე.** 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

**საღამოთი:**

**მ. გ. აგეტისიანცი:** 6—7 საათ.

რიგვა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დ 1004 ქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

**მუხრანის ქუჩაზე, სადაც წინად „კავკაზ. ს" ნომრები იყო, გაიღო**

## საოჯახო ნომრები

შენობა ახლად შეკეთებულია და განათებულია ელექტრონით. ავეჯეული სულ ახალია ნომერი ღირს: 60 კ—დან 1 მანეთამდე. **თვიურებს დიდი შეღავათი.** 1552

## მიიღეთ ცივადი-მატარებლით პეტერბურგიდან

თევზის მრეწველნი ძმ.



ძეგველოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
**ტელეფონი № 712.**

ამურის წითელი ხიზილალა (კეტოვი) სიგი, დვინის ორაგული, გრუზდი, ბრუსნიკა და სხვ.

აგრეთვე იყიდება მაილოვის

## ხიზილალა

კოლოფით ღ ხმელი სოკო. 1500